



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„გამტკიცება“

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეყილაძე



15 აპრილი 2019 წელი

N 44/36

ეგზ.: N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014-2017
წლების მესაბამისობის აუდიტი

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებანი	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები	4
რეკომენდაციები თსუ-ს	6
შესავალი	8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
აუდიტის საგანი	8
აუდიტის მასშტაბი.....	8
აუდიტის კრიტერიუმები	9
აუდიტის მიზანი	9
აუდიტის მიგნებები.....	11
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებები.....	11
შრომის ანაზღაურების ნაკლოვანებები.....	35
შემოსავლები	37
უძრავი ქონების მართვის ნაკლოვანებები.....	39
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან მიღებული გრანტები	40
საწვავის ხარჯი	42
სტუდენტთა მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება.....	43

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებანი

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

თსუ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

MAF - მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა;

CPV (Common Procurement Vocabulary) - ევროკავშირის EC N213/2008 დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ლექსიკონი;

DB (Design-Build) - პროექტირება-მშენებლობა (სამშენებლო პროექტის განხორციელების მეთოდი);

მეთოდური ცნობარი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ პერიოდულად გამოცემული მეთოდური ცნობარი „მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ფასების გაანგარიშების შესახებ“;

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებები

- თსუ-ის შესაბამისი სამსახური ბაზრის კვლევებს ძირითადად აწარმოებდა მხოლოდ ფასთა გამოკითხვის საშუალებით, რომელიც იძლევა ძალიან მწირ ინფორმაციას და ქმნის ფასებით მანიპულირების შესაძლებლობას, რაც გამოვლინდა კვლევაში მონაწილე კომპანიების მხრიდან შეთავაზებულ გაზრდილ ფასებში. ასევე სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით, პოტენციური მიმწოდებლების მიერ წარდგენილ შეთავაზებებში არ არის მითითებული ფასწარმოქმნის კომერციული და ფინანსური პირობები (მიწოდების ვადები, ანგარიშსწორების პირობები და ვადები, საგარანტიო ვადები და ა.შ.). ყოველივე აღნიშნული განაპირობებს არასაბაზრო, არაადეკვატურად მაღალი სავარაუდო ღირებულებების ჩამოყალიბებას, რაც უკონკურენტო გარემოში ჩატარებული ტენდერების შემთხვევებში იწვევს საჯარო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას. ხოლო იმ შემთხვევებში, თუ კონკურენცია შედგა, ხშირად ფასის კლება 20%-ზე მეტს შეადგენს, რის გამოც პრეტენდენტები იძულებული არიან რეალური საბაზრო ფასების შეთავაზების შემთხვევებშიც კი დაასაბუთონ ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, რაც ზოგჯერ ტენდერებში მათი დისკვალიფიკაციის მიზეზი ხდება და ქმნის სატენდერო წინადადების მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტების გამარჯვების შესაძლებლობას.

- პრინტერების კარტრიჯების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების უმრავლეს შემთხვევაში, სპეციფიკაციით (აღწერილობა) მოთხოვნილი იყო, რომ საქონელი უნდა ყოფილიყო „ორიგინალი“ და ამასთანავე, პრეტენდენტს უნდა წარედგინა შემოთავაზებული ბრენდის მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა (MAF). აღნიშნული მოთხოვნა კონკურენციის შეზღუდვის მაღალი რისკის მატარებელია, ვინაიდან ის წარმოადგენს არაპირდაპირ მითითებას მწარმოებელზე, ასევე მოდელზე. შესყიდვის ობიექტის აღწერის მიმართ ასეთმა მიდგომამ განაპირობა, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში ტენდერში მონაწილეობა მიიღო და სავარაუდო ღირებულების ტოლი (ან მასთან მიახლოებული) ფასით გაიმარჯვა კომპანია შპს „ულტრამ“.

- ავეჯის შესყიდვის მიზნით თსუ-ის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში შესყიდვის ობიექტის პარამეტრები (ზომები, მასალები, ფერი და ა.შ.) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო ფიქსირებულ სიდიდეებში, რაც იწვევს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნების კონკრეტულ კომპანიაზე მორგებას და ზღუდავს ტენდერში მონაწილეთა რაოდენობას.

- ავტომაქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით თსუ-ს ჩატარებული აქვს ელექტრონული ტენდერები პრეისკურანტის საფუძველზე. პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრებოდა მომსახურების სხვადასხვა სახეობის ერთეულების სავარაუდო ღირებულებების მექანიკური დაჯამებით, ხოლო ვაჭრობის რაუნდებში პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადების ფასის კლება ხორციელდებოდა მომსახურების თითოეული პოზიციის მიხედვით პროპორციულად. აღნიშნული მეთოდი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით შეიცავს რისკებს, კერძოდ: პრეისკურანტით გათვალისწინებული მრავალი სახის მომსახურებიდან, მათი სპეციფიკური დანიშნულებების გამო, შემსყიდველს წლის განმავლობაში შეიძლება დასჭირდეს მხოლოდ გარკვეული სახეობები, მათ შორის, ცალკეული სახეობა რამდენჯერმეც (მაგალითად, ძრავის ზეთის ან სამუხრუჭე ხუნდების გამოცვლა). ხოლო მომსახურებების და დეტალების უმრავლესობის საჭიროება მათი რამდენიმეწლიანი მუშაობის უნარის გამო, შესაძლოა საერთოდ არ დადგეს (მაგალითად, ძრავის მუხლა ლილვის ან ჯაჭვის შეცვლა და სხვ.). აქედან გამომდინარე, სატენდერო წინადადების წარდგენისას მომსახურების ერთეულების ფასების პროპორციული კლება მათი საჭიროების დადგომის არათანაბარი

შესაძლებლობის შემთხვევაში იძლევა ფიქტიურ ეკონომიას. ვინაიდან იმ მომსახურებების მიხედვით ფასების პროპორციული კლება, რომელთა საჭიროების დადგომის ალბათობა ძალიან მცირეა და ძირითადად, მათი ერთეულების ღირებულება მაღალია, იძლევა ნომინალურ ეკონომიას.

– თსუ-ის მე-2 კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად შეირჩა პროექტირება-მშენებლობის - ე.წ. Design-Build (DB) მეთოდი. შესყიდვა განხორციელდა 2018 წლის 14 მარტს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 5,829.9 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა კომპანიამ და გამარჯვებულად გამოცხადდა სატენდერო წინადადების უმცირესი ფასის წარმომდგენი შპს „დიკა 2010“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება (N430/06, 03.05.2018წ.) ღირებულებით - 5,192.0 ათასი ლარი. სამშენებლო პროექტების განხორციელების DB მეთოდის ერთ-ერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენს შესყიდვის საშუალებად ტენდერის გამოყენების სირთულე (გარდა ტიპური პროექტების განხორციელების შემთხვევებისა). იმის გამო, რომ აღნიშნული მეთოდი გულისხმობს საპროექტო მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების ერთი კონტრაქტორისგან შესყიდვას, ტენდერის გამოცხადების ეტაპზე არ არსებობს დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა), რაც, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის სწორად განფასდეს შესასრულებელი სამუშაოები და შედეგად, ადეკვატურად განისაზღვროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულება. ასეთ შემთხვევაში ტენდერებში ფასების კლებაც მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში შეიძლება დაფიქსირდეს და მაღალი რისკი არსებობს იმისა, რომ რეალურ საბაზრო ღირებულებამდე ვერ ჩამოვიდეს (რადგან თვით პრეტენდენტებსაც არ აქვთ ზუსტი წარმოდგენა ფასის ადეკვატურობაზე და დაზღვევის მიზნით შესაძლოა მაღალ ფასებზე შეაჩერონ შეთავაზება). ამასთანავე, თსუ-ის მე-2 კორპუსის ტექნიკურ მდგომარეობაზე დასკვნის ღირებულების გაანგარიშების დროს არ არის გათვალისწინებული სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტარიფები, ხოლო ნებართვების ღირებულების (რომელიც ასევე გაზრდილია) დადგენას არ ესაჭიროებოდა ბაზრის კვლევა, რადგან ის გაიცემა მხოლოდ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ და მისი ფასები ფიქსირებულია. შედეგად, სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა გაზრდილია ჯამურად 1,116.3 ათასი ლარით (225.8 ათასი ლარით, მომსახურებების ნაწილში + 890.5 ათასი ლარით, სამუშაოების ნაწილში), რამაც შექმნა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური და არაეკონომიური ხარჯვის რისკი.

– თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებით, 2014 წლის განმავლობაში რექტორს საქვეანგარიშოდ ეტაპობრივად გამოეყო ჯამურად 13538.32 აშშ დოლარის ეკვივალენტი - 23829.13 ლარი, მისი ავტორობით აშშ-ში გამოცემული წიგნების კომპანია Nova science publishers-გან შესაძენად. წიგნების შეძენა განხორციელდა რექტორის ინიციატივით. ზემოაღნიშნული თანხა ჩაირიცხა რექტორის პირად ანგარიშზე. აღნიშნული შესყიდვები განხორციელდა კანონმდებლობის დარღვევით, კერძოდ: შესყიდვების განხორციელების პროცესში მიმწოდებელს წარმოადგენდა ფიზიკური პირი (რექტორი) და არა კომპანია Nova science publishers (ამ კომპანიასთან თსუ-ს რაიმე სახის სამართლებრივი ურთიერთობა არ გააჩნდა); შესყიდვების განხორციელებისას წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტი, რადგან მიმწოდებელი იმავდროულად იყო შემსყიდველი (თსუ-ის რექტორი) და მოცემული შესყიდვის ინიციატორი.

სამეცნიერო საგრანტო პროექტების განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებები

– სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის კონკურსში გამარჯვებული პროექტის („პარკუჭთა ნადრევი რეპოლარიზაციის სინდრომი - უწყინარი ეკვ თავისებურება, თუ სიცოცხლისათვის საშიში არითმიების პრედიქტორი“) დაფინანსების მიზნით, ერთი მხრივ, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და მეორე მხრივ, თსუ-ს (როგორც – წამყვანი ორგანიზაცია), ასევე

გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირებს შორის 2015 წლის 5 მაისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება FR/547/8-305/14. დაფინანსების მოცულობა შეადგენდა 148.6 ათას ლარს. საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით, პროექტის ამოცანა იყო ეთნიკურად სხვადასხვა წარმომავლობის 20-45 წლის ასაკის 800 პირის (მათ შორის, სპორტსმენების) შერჩევა მათზე სამედიცინო კვლევების ჩატარების, შედეგების შესწავლის და შემდგომ მეცნიერული დასკვნების გაკეთების მიზნით. პროექტის ფარგლებში გამოკვლეულად ნაჩვენები პირების რაოდენობის რეალობის (აქედან გამომდინარე, პროექტის განხორციელების რეალობის) შესწავლის პროცესში მიღებული სიტყვიერი ახსნა-განმარტების მიხედვით, გრანტის მიმღებ პირებს არ გააჩნიათ გამოკვლეულ პირებთან სამართლებრივი ურთიერთობის რაიმე იურიდიული დოკუმენტი (ხელშეკრულება, წერილობითი განცხადება და ა. შ.), მათ არ გააჩნიათ ასევე გამოკვლეული პირების პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონი) და, რომ აღნიშნული მონაცემები მათ არც პროექტის განხორციელების პერიოდში ჰქონდათ. ამასთანავე, პროექტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, პირებს ჩაუტარდათ ასევე ფიზიკური დატვირთვის ეკგ ტესტი. ის გარემოება, რომ აღნიშნული ტესტისთვის საჭირო ტექნიკა - ეკგ სისტემა სტრესტესტებისთვის (ტრედმილით) შეძენილია 2018 წლის იანვარში და აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის იმყოფებოდა უხმარ, ქარხნულად შეფუთულ მდგომარეობაში, ექვქვეშ აყენებს ტესტების ჩატარების რეალობას. გარდა ამისა, არ განხორციელებულა პროექტის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული კვლევებისთვის საჭირო ტექნიკის - დეფიბრილატორის შეძენა, რაც ასევე ექვქვეშ აყენებს სამედიცინო კვლევების ჩატარების რეალობას.

რეკომენდაციები თსუ-ს

რეკომენდაცია N1: საბაზრო პირობებისადმი ადეკვატური სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის და შედეგად, საჯარო სახსრების არარაციონალურ ხარჯვასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, ბაზრის კვლევის ეტაპზე შესწავლილ და გაანალიზებულ იქნეს ფასების შესახებ ყველა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია. ამასთანავე, უზრუნველყოფილ იქნეს ფასების შესახებ მიღებული ინფორმაციის ერთგვაროვნება მიწოდების კომერციული და ფინანსური პირობების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია N2: შესყიდვების განხორციელების პროცესში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით:

შესყიდვის ობიექტების მიმართ მოთხოვნები ჩამოყალიბდეს ნათლად, არაორაზროვნად და იმგვარად, რომ შესყიდვების პროცესში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეს ყველა პოტენციურ მიმწოდებელს;

შესყიდვის საგნის აღწერისას უპირატესობა მიენიჭოს ფუნქციონალურ-ტექნიკური სპეციფიკაციების შემუშავებას, ამავდროულად შესასყიდი საქონლის ტექნიკური პარამეტრები განისაზღვროს იმ დიაპაზონით, რომელიც უზრუნველყოფს საჭიროების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია N3: ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მეთოდის და სატენდერო წინადადების ფასის კლების არსებული წესის ხარვეზები და განხილულ იქნეს სხვა ალტერნატიული მეთოდი, რომელიც დაეფუძნება:

– პრეისკურანტით განსაზღვრული ცალკეული მომსახურების საჭიროების სიხშირეს;

– პრეტენდენტის მხრიდან სატენდერო წინადადების ფასის კლების მეთოდის შეუზღუდავ არჩევანს.

რეკომენდაცია N4: საბაზრო პირობების შესაბამისი ფასწარმოქმნის უზრუნველყოფისა და სატენდერო პროცედურებში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის წინამოსამზადებელ ეტაპზე გააანალიზდეს პრაქტიკაში არსებული მისი განხორციელების სხვადასხვა მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი და მიღებულ იქნეს კონკრეტული შემთხვევის შესაბამისი გადაწყვეტილება.

რეკომენდაცია N5: შემუშავებულ იქნეს საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში თსუ-ის თანამშრომლებზე დამატებითი შრომის ანაზღაურების გაცემის წესი, რომელიც დაეფუძნება სამუშაოს და შრომის ანაზღაურების სამართლიან და პროპორციულ განაწილებას, კანონმდებლობით გათვალისწინებული თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვით.

რეკომენდაცია N6: საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების და მარაგების ოპტიმიზაციის მიზნით, განისაზღვროს ნაბეჭდ პროდუქციაზე რეალური მოთხოვნა და განხორციელდეს მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო რესურსების რაციონალური ხარჯვა.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - თსუ) მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ კანონმდებლობასთან არსებით შეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

თსუ-ის შესაბამისობის აუდიტი წარმოადგენს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება შეესაბამება თუ არა თსუ-ის საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობას.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენ მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

აუდიტის საგანი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა 2014 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. გარდამავალ და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ თემებთან დაკავშირებით შესწავლილ იქნა აგრეთვე სხვა პერიოდის ცალკეული შესყიდვებიც.

აუდიტის კრიტერიუმები

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/5 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მეთოდური მითითებები სამშენებლო პროექტის განხორციელების მეთოდთან დაკავშირებით;
- მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მეთოდური ცნობარი „მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ფასების გაანგარიშების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, თუ რამდენად შესაბამისია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
- ბ) აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, აუდიტის ანგარიშის მომხმარებელისათვის ინფორმაციის მიწოდება გამოვლენილი ნაკლოვანებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

თსუ დაფუძნებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, რომლის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს აუდიტის პერიოდში ახორციელებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

თსუ-ის დაფინანსების ძირითად წყაროებს წარმოადგენს როგორც ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები (საკუთარი შემოსავლები), ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება. თსუ-ის მიერ 2014 – 2017 წლებში მიღებული შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი N1. ინფორმაცია თსუ-ის მიერ 2014-2017 წლებში მიღებული შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ (ათას ლარებში)

დასახელება	2014 წელი		2015 წელი		2016 წელი		2017 წელი	
	ბიუჯეტი	საკუთარი	ბიუჯეტი	საკუთარი	ბიუჯეტი	საკუთარი	ბიუჯეტი	საკუთარი
ნაშთი 1 იანვარი	1,437.1	17,742.6	2,163.6	18,961.4	1,430.7	17,935.7	557.5	11,198.6
შემოსულობები	9,984.8	60,145.7	13,385.0	61,126.2	13,556.3	58,496.7	14,848.2	60,406.1
სახელმწ. ბიუჯეტი	5,596.3	-	12,468.7	-	12,339.4	-	12,354.0	-
სასწავლო გრანტი	-	23,369.7	-	25,664.7	-	27,211.3	-	21,162.9
სწავლის საფასური	-	25,417.3	-	24,604.7	-	22,044.4	-	23,794.1
ინფრასტრ. სააგენტ.	-	1,957.6	-	1,388.8	-	1,338.4	-	5,665.5
რუსთაველ. ფონდი	-	7,853.3	-	7,959.9	-	6,161.8	-	6,831.5
უცხოური გრანტი	4,388.5	-	916.3	-	1,216.9	-	2,494.2	-
იჯარა	-	43.1	-	33.7	-	33.4	-	18.8
სტუდენტობა	-	121.3	-	120.2	-	117.0	-	136.1
საქონლის რეალიზ.	-	14.6	-	32.1	-	58.1	-	70.0
მომსახურ. რეალიზ.	-	425.1	-	533.1	-	538.9	-	448.5
სხვა დანარჩენი	-	943.7	-	789.0	-	993.4	-	2,278.6
გადასახდელები	9,258.3	58,926.9	14,117.9	62,151.9	14,429.5	65,233.7	14,383.9	60,066.8
შრომის ანაზღ. ¹	3,425.8	24,242.5	8,032.6	27,399.1	8,034.6	28,027.1	8,021.9	26,566.4
საქონ. და მომსახ.	880.4	27,898.9	1,916.6	30,131.4	1,831.2	28,349.8	1,903.2	25,075.4
სუბსიდიები	2,129.1	-	1,270.5	-	1,111.9	130.9	1,161.8	201.4
გრანტები	10.8	402.1	70.8	72.1	38.7	110.9	141.9	159.0
სოციალური	0.6	-	4.7	135.0	5.6	187.5	6.2	168.5
სხვა ხარჯები	2,500.5	4,051.2	1,628.8	2,492.7	2,076.1	2,456.6	1,834.1	5,742.8
არაფინანს აქტივ.	310.9	2,277.6	1,138.0	1,831.9	1,331.4	5,936.8	1,313.5	2,122.1
ვალდებულ. კლება	-	54.6	55.9	89.7	-	34.1	1.2	31.0
ნაშთი 31 დეკემბ.	2,163.6	18,961.4	1,430.7	17,935.7	557.5	11,198.6	1,021.9	11,537.9

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებით ძირითადად ფინანსდება თსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სტუდენტთა სტიპენდიები, ასევე უცხოური გრანტებით² განხორციელებული პროექტები.

საკუთარი შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები, რომლებიც საბიუჯეტო განწერით პირდაპირ არ წარმოადგენს თსუ-ის

¹ ცხრილში მოცემული სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული შრომის ანაზღაურება მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით „სუბსიდიის“ მუხლზე არასწორად მიკუთვნებულ შრომის ანაზღაურების ხარჯებსაც (შემოერთებულ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებზე გაცემულს), ხოლო შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, მიკუთვნებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეულ ხარჯებს.

² გრანტები, რომლების აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში.

ასიგნებას, მაგრამ გარკვეული დანიშნულებით ირიცხება ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ანგარიშზე. კერძოდ: სტუდენტთა სასწავლო გრანტები, სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ სხვადასხვა პროექტების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხები.

საკუთარი შემოსავლების ფორმირება ხდება ასევე სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასურის, უძრავი ქონების იჯარის, საქონლის (წიგნების) რეალიზაციის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ გაწეული მომსახურებების, სტუდენტთა ქალაქის საცხოვრებელი ბინების საფასურის სახით მიღებული და სხვა დანარჩენი სახის (ბანკის პროცენტი და ა.შ.) შემოსავლებიდან.

საკუთარი შემოსავლების ანგარიშზე წლის ბოლოს დიდი ოდენობით ფულადი სახსრების ნაშთების არსებობას განაპირობებს ის გარემოება, რომ სამინისტროს მიერ სტუდენტთა სასწავლო გრანტების ჩარიცხვა წარმოებს წლის განმავლობაში ორ ეტაპად (მათ შორის, ერთ-ერთი ეტაპის ვადა უწევს დეკემბრის ბოლოს), ხოლო საბიუჯეტო სახსრების ნაშთებს განაპირობებს უცხოური გარდამავალი გრანტებიდან მიღებული დაფინანსება, რომლის აუთვისებელი თანხებიც გაწერილია მომდევნო წლების ბიუჯეტებში.

აუდიტის მიგნებები

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებები

თსუ-ის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით გამოცხადებული ტენდერების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია:

ცხრილი N2. ინფორმაცია თსუ-ის მიერ 2014-2017 წლებში გამოცხადებული ტენდერების შესახებ (რაოდენობები)

დასახელება	2014	2015	2016	2017
ტენდერები, სადაც გამარჯვებული გამოვლინდა	291	303	247	253
უარყოფითი შედეგით დასრულებული	17	17	18	26
არშემდგარი ტენდერები	90	89	48	60
შეწყვეტილი ტენდერები	9	16	9	6
სულ:	407	425	322	345

შესამოწმებელ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა და ღირებულება შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი N3. ინფორმაცია თსუ-ის მიერ 2014-2017 წლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესახებ (ათას ლარებში)

შესყიდვის საშუალება	2014 წელი		2015 წელი		2016 წელი		2017 წელი	
	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა
ტენდერი	291	5,377.1	303	6,586.9	247	8,946.9	253	6,014.5
გამარტივებ.	718	2,553.1	982	3,871.4	858	4,097.8	889	3,649.8
სულ:	1009	7,930.2	1285	10,458.3	1105	13,044.7	1142	9,664.3
ტენდერ. % წილი	29	68	24	63	22	68	22	62
გამარტივ. % წილი	71	32	76	37	78	32	78	38

აუდიტის პერიოდში გამოცხადებული ტენდერებიდან ნომინალურად მიღებულია ეკონომიები:

ცხრილი N4. ინფორმაცია თსუ-ის მიერ გამოცხადებული ტენდერებიდან მიღებული ნომინალური ეკონომიების შესახებ (ათას ლარებში)

წელი	გამარჯვ. გამოვლ. ტენდერ. რაოდენ.	ტენდერების სავარაუდო ღირებულებების ჯამი	გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება	სხვაობა(ეკონომია)	სხვაობის % თანაფარდ.
2014	291	6,060.5	5,200.9	859.6	14
2015	303	8,063.3	6,801.7	1,261.6	16
2016	247	11,373.6	8,945.5	2,428.1	21
2017	253	7,239.3	6,030.0	1,209.3	17
სულ:	1094	32,736.8	26,978.2	5,758.6	18

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ხარვეზები

კრიტერიუმი: შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობა არსებული მარაგების გათვალისწინებით.³

გამოვლენილი გარემოებები:

სახელმწიფო შესყიდვების გეგმები თსუ-ის შემუშავებული და სსიპ – შესყიდვების სააგენტოსთვის წარდგენილი აქვს კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა მათი შემუშავებისას გათვალისწინებული არ არის ზემოაღნიშნული კრიტერიუმის მოთხოვნები. შესყიდვების გეგმებში წლის განმავლობაში შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რის შედეგადაც საწყის და საბოლოო საგეგმო პარამეტრებს შორის არსებითი სხვაობებია:

ცხრილი N5. ინფორმაცია თსუ-ის შესყიდვების საგეგმო პარამეტრების (ჯამური სავარაუდო ღირებულების) შესახებ (ათას ლარებში)

დასახელება	2014 წელი		2015 წელი		2016 წელი		2017 წელი	
	საწყისი	საბოლოო	საწყისი	საბოლოო	საწყისი	საბოლოო	საწყისი	საბოლოო
ტენდერებით	5,433.6	8,096.2	4,050.3	9,771.9	8,242.9	11,979.2	4,381.5	8,740.3
გამარტივებ.	1,137.1	3,087.5	1,259.6	4,005.0	827.7	4,013.0	1,597.3	3,790.8
სულ:	6,570.7	11,183.7	5,309.9	13,776.9	9,070.6	15,992.2	5,978.8	12,531.1

როგორც ცხრილიდან ჩანს, თსუ-ის მიერ წლის დასაწყისში შესყიდვების გეგმების შემუშავება არ წარმოებდა რეალური საჭიროებების მოცულობიდან გამომდინარე. საწყისი საგეგმო პარამეტრები და წლის განმავლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად მიღებული პარამეტრები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. კერძოდ, გეგმები თანხობრივად, ჯამური ოდენობით 2-3-ჯერ გაზრდილია (გამარტივებული შესყიდვის საშუალებების ნაწილში 2016 წელს – 4.8-ჯერ). ამასთან ერთად, საწყის გეგმებში CPV კოდებით მითითებული ჯამური თანხები არ ეფუძნება შესასყიდი საქონლის და მომსახურების კონკრეტულ მოცულობებს. შესყიდვების საბოლოო გეგმებში

³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

დამატებულია ბევრი ისეთი CPV კოდი, რომელთა გათვალისწინება შესაძლებელი იყო საწყის გეგმებში⁴, რადგან ამ სახის შესყიდვები ყოველწლიურად წარმოებდა.

ბაზრის კვლევის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: ყოველი შესყიდვის პროცედურის დაწყებამდე, წლიური გეგმის შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის ძირითადი მიზანია შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა, ასევე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადება.⁵

პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები პირობების განსაზღვრის მიზნით, შესყიდვის დაგეგმვის ეტაპზე შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს ბაზრის გამოკვლევის შედეგები.⁶ ბაზრის კვლევის დროს უნდა განისაზღვროს: შესყიდვის ობიექტის ხელმისაწვდომობა, შესყიდვის ობიექტის ფასი, მიწოდების პირობები, მიმწოდებლის სპეციალიზების სფერო, მათი შესაძლებლობები და შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის ინტერესი.

გამოვლენილი გარემოება:

თსუ-ის მიერ ბაზრის კვლევები ძირითადად ხორციელდებოდა მხოლოდ ფასთა გამოკითხვით, რომელიც იძლევა ძალიან მწირ ინფორმაციას და ქმნის ფასებით მანიპულირების შესაძლებლობას, რაც ვლინდება კვლევაში მონაწილე კომპანიების მხრიდან შეთავაზებულ მაღალ ფასებში. ასევე სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით, პოტენციური მიმწოდებლების მიერ წარდგენილ შეთავაზებებში არ არის მითითებული ფასწარმოქმნის კომერციული და ფინანსური პირობები (მიწოდების ვადები, ანგარიშსწორების პირობები და ვადები, საგარანტიო ვადები და ა.შ.) და აქედან გამომდინარე, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრის დროს, თსუ-ის მიერ არ ხდებოდა ამ პირობების გათვალისწინება. ყოველივე აღნიშნული ხშირ შემთხვევებში განაპირობებს საბაზრო ფასებთან მიმართებით არაადეკვატურად მაღალი სავარაუდო ღირებულებების ჩამოყალიბებას. შედეგად, იმ ტენდერებში, სადაც კონკურენცია შედგა, გამარჯვებული პრეტენდენტების სატენდერო წინადადების ფასები არსებითად განსხვავდება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებებისაგან, ხოლო უკონკურენტო გარემოში ჩატარებულ ტენდერებში გამარჯვებული სატენდერო წინადადების ფასები უტოლდება ან მცირედ განსხვავდება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებებისგან. მაგალითად:

ავეჯის შესყიდვის მიზნით თსუ-მ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA160012159). ბაზრის კვლევის ეტაპზე ორი პოტენციური პრეტენდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 170.0 ათასი ლარის ოდენობით.

⁴ მაგალითად, 2014 წლის შესყიდვების საბოლოო გეგმაში დამატებულია CPV კოდები: 03200000, 03300000, 14600000, 15400000, 19100000 და ა.შ., ხოლო CPV კოდში 33700000 საწყისი თანხა – 5.0 ათასი ლარი, გაზრდილია ჯამურ – 118.3 ათას ლარამდე.

⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით.

⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

ცხრილი N6. ავეჯის შესყიდვის მიზნით თსუ-ის მიერ გამოცხადებული ტენდერის (SPA160012159) მონაცემები (ათას ლარებში)

პრეტენდენტი	ბაზრის კვლევის ეტაპზე მიწოდებ.	სავარაუდო ღირებულ.	საწყისი შეთავაზ.	საბოლოო შეთავაზებ.	ფასის კლები ს %	გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმ. ხელშეკრ.
შპს „ნიკა“	170.1	170.0	153.8	153.8	10	-
ი/მ ვიოლეტა მინაძე	-	170.0	128.8	115.0	32	-
ი/მ ნიკო ლონდარიძე	166.5	170.0	168.2	115.0	32	-
შპს „მოდერნ ვილა“	-	170.0	170.0	114.9	32	N426/06, 31.05.2016

სამი პრეტენდენტის მიერ ერთი და იმავე საბოლოო ფასის დაფიქსირება მიუთითებს, რომ შესყიდვის რეალური საბაზრო ფასი მერყეობდა 115.0 ათასი ლარის ფარგლებში და მნიშვნელოვნად ნაკლები იყო შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე (170.0 ათასი ლარი).

ფარდა-ქაღალუების შესყიდვის მიზნით თსუ-მ გამოაცხადა ტენდერი.⁷ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. ელექტრონული ვაჭრობის შემდეგ ტენდერში გაიმარჯვა შპს „დიომ“, სატენდერო წინადადების ღირებულებით – 35.0 ათასი ლარი.⁸ კონკურენტმა შპს „ვივა ქაღალხმა“ დააფიქსირა იმავე ოდენობის საბოლოო ფასი (ერთი ლარით მეტი). გამარჯვებული პრეტენდენტის საწყისი შეთავაზება როგორც ბაზრის კვლევის ეტაპზე, ასევე ტენდერის მიმდინარეობისას შეადგენდა 49.5 ათას ლარს (1 კვ.მ – 33 ლარი). კონკურენციის შედეგად, ფასის კლებამ შეადგინა 30% (1 კვ.მ – 23 ლარი). სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას თსუ-მ არ გაითვალისწინა ანალოგიური საქონლის შესყიდვის წინა წლების გამოცდილება. კერძოდ, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელ დოკუმენტად შპს „დიომ“ წარადგინა თვითონ თსუ-სთან გაფორმებული ხელშეკრულება,⁹ რომლის მიხედვითაც, 1 კვ.მ-ის ფასი შეადგენდა 21 ლარს. ტენდერში ვაჭრობის შედეგად ფასის მნიშვნელოვანი კლება, ორივე პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული თანაბარი ფასი და წინა ანალოგიური შესყიდვისას ტენდერში დაფიქსირებული ფასი, მიუთითებს, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად განისაზღვრა (რაც ასევე განაპირობა ბაზრის კვლევის ეტაპზე მიწოდებულმა ინფორმაციამ). აღნიშნული დამოკიდებულება უკონკურენტო გარემოს პირობებში ქმნის სახსრების არარაციონალური ხარჯვის და საქონლის გაზრდილი ფასით შესყიდვის რისკს.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად განსაზღვრის შემთხვევები განსაკუთრებით გამოიკვეთა ინტერნეტმომსახურებების და საკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში:

ცხრილი N7. ინტერნეტმომსახურებების შესყიდვის მიზნით თსუ-ის მიერ გამოცხადებული ტენდერები (ათას ლარებში)

ტენდერის SPA ნომერი	შესყიდვ. სავარ. ღირებ.	მონაწ. რაოდენ .	ყველაზე მაღალი შეთავაზ.	გამარჯვ. საწყისი შეთავაზ.	საბოლოო დაფიქს. ფასი	ფასის კლების %	გამარჯვებული კომპანია
160029779	79.2	2	75.1	69.8	45.7	42	შპს „მაგთიკომი“
170015327	100.4	2	100.4	100.4	19.4	80	შპს „მაგთიკომი“
170000953	68.0	2	56.0	56.0	35.0	48	შპს „სილქნეტი“
100000169	190.0	2	190.0	188.0	138.0	27	შპს „კავკასუს ონლაინი“
110030079	180.0	2	167.0	167.0	119.9	33	შპს „კავკასუს ონლაინი“
140027573	196.0	1	190.1	190.1	190.1	3	შპს „კავკასუს ონლაინი“
150031275	167.0	2	165.3	165.3	115.3	31	შპს „კავკასუს ონლაინი“

⁷ SPA160003707 შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით – 50.0 ათასი ლარი.

⁸ აღნიშნულ თანხაზე 2016 წლის 23 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება N142/06.

⁹ N70/06, 09.02.2015 წ. ტენდერი SPA150002501.

ცხრილი N8. საკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვის მიზნით თსუ-ის მიერ გამოცხადებული ტენდერები (ათას ლარებში)

ტენდერის SPA ნომერი	შესყიდვ. სავარ. ღირებ.	მონაწი რაოდენ	ყველაზე მაღალი შეთავაზ	გამარჯვებ საწყისი შეთავაზ	საბოლოო დაფიქსირ ფასი	ფასის კლების %	გამარჯვებული კომპანია
150010519	16.8	4	16.5	12.9	6.7	60	შპს „არესემ საქართვე.“
140009213	17.0	2	17.0	17.0	5.0	70	შპს „კომპაუდი“
130028196	15.0	4	15.0	13.6	3.5	76	შპს „მორისონ ჯორჯია“
120004409	25.0	4	25.0	25.0	8.0	68	შპს „მორისონ ჯორჯია“
110002310	250.0	6	250.0	233.2	108.9	56	შპს „პოლიგრაფისტი“
110002481	60.0	4	59.0	58.8	24.0	60	შპს „მორისონ ჯორჯია“
110002560	50.0	1	43.9	43.9	43.9	12	შპს „ფოტოსამყარო“

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები განსაზღვრული იყო მონაწილე პრეტენდენტების მიერ მიწოდებული ფასების საფუძველზე. ზემოაღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ ბაზრის კვლევის ეტაპზე მიმწოდებლების მიერ მიწოდებული ინფორმაციები არ არის შესაბამისი ტენდერებში ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული მათივე ფასებისა. იმ ტენდერებში, რომლებშიც შედგა კონკურენცია, ფასი მნიშვნელოვნად იკლებდა (ძირითადად, 48%-დან 80%-მდე). ამ შემთხვევებში, კონკურენტული გარემოს გარეშე (რასაც ზოგჯერ ობიექტური მიზეზებიც აქვს), იარსებებდა შესყიდვების არაადეკვატურად მაღალ ფასებად ¹⁰ განხორციელების რისკი. ამას ადასტურებს ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით ჩატარებული ტენდერების შედეგები, რომელთა მიხედვითაც, ფასის კლება პრაქტიკულად არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრისას კომპანიების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე პირდაპირ დაყრდნობა, რისკის შემცველია.

ნავთობის შემცველობის ანალიზატორის შესყიდვა

თსუ-ის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტისთვის ნავთობის შემცველობის ანალიზატორის ¹¹ შესყიდვის მიზნით ჩატარებული ბაზრის კვლევის პროცესში სავარაუდო ფასები მიწოდებული იქნა ორი კომპანიის მიერ: შპს „ფარმატექი“ - 31.5 ათასი ლარი და შპს „ლაბტექ ჯორჯია“ - 32.5 ათასი ლარი, რის შემდეგაც, თსუ-მ ხელშეკრულება ¹² გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა შპს „ფარმატექთან“.

როგორც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერებიდან გაირკვა, შპს „ფარმატექი“ და შპს „ლაბტექ ჯორჯია“ დაკავშირებული მხარეებია. კერძოდ, 2015 წლის 9 ივნისამდე მათ ჰყავდათ ერთი და იგივე დამფუძნებლები. შესაბამისად, ბაზრის კვლევის ეტაპზე ფორმალურად გამოკითხულია ორი კომპანია, ხოლო რეალურად ერთი მიმწოდებელი (ერთი და იგივე პირი) და ხელშეკრულებაც მასთან გაფორმდა (მიმწოდებლისთვის სასურველი ღირებულებით).

ინტერნეტმონაცემების მიხედვით, ნავთობის შემცველობის ანალიზატორის ზემოაღნიშნული მოდელის სარეალიზაციო ფასი შეადგენდა, დაახლოებით, 6.2 ათას აშშ დოლარს, რაც ხელშეკრულების გაფორმების თარიღისთვის არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით (2.2558

¹⁰ ამას ადასტურებს ტენდერებში საწყისი შეთავაზებების თანხობრივი ოდენობებიც.

¹¹ მოდელი HORIBA OCMA-350.

¹² 2015 წლის 27 ივლისის N665/06, ღირებულებით 31.5 ათასი ლარი („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე).

ლარი/აშშ დოლარი) შეადგენდა 13.9 ათას ლარს, ტრანსპორტირების ხარჯის გათვალისწინებით¹³ კი - 14.0 ათას ლარს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია შესყიდვის ფასთან (დღგ-ის გარეშე 26.7 ათასი ლარი) მიმართებით.

კანონმდებლობით ¹⁴ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მინიჭებული აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვის დროს გამოიყენონ გამარტივებული შესყიდვის საშუალება, მაგრამ აღნიშნული დისკრეცია უნდა ემსახურებოდეს შესყიდვების კანონმდებლობის მიზანს – ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას, რაც ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული. დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭებით შემსყიდველს ეძლევა შესაძლებლობა, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილება. აღნიშნულ შემთხვევაში იმ კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით, რომ სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრის მიზნით ჩატარებულ ბაზრის კვლევაში მონაწილეობა მიიღო ფორმალურად ორმა იურიდიულმა პირმა, რომლებზეც კონტროლს ახორციელებდნენ ერთი და იგივე პირები და შედეგად კონტრაქტი გაფორმდა მაღალი ფასით, გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენება არ იყო მიზანშეწონილი. მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლობა თსუ-ს არ ზღუდავდა გამოყენებინა ელექტრონული ტენდერი, რომელსაც ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის თვალსაზრისით უფრო დიდი რესურსი გააჩნია, ვიდრე გამარტივებულ შესყიდვას.

კანონმდებლობის საფუძველზე,¹⁵ აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით, თსუ-ის მიერ გამოთხოვილ იქნა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები, რაც მიმწოდებელმა არ წარმოადგინა.

დასკვნა: არასწორად (გაზრდილად) განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება წარმოშობს რისკს, რომ შესყიდვა განხორციელდეს საბაზრო ღირებულებაზე მაღალ ფასად. ეს ხდება ძირითადად იმ შემთხვევებში, როდესაც ტენდერები კონკურენციის გარეშე მიმდინარეობს (მონაწილეობს მხოლოდ ერთი პრეტენდენტი). შესყიდვის სავარაუდო ღირებულების გაზრდილად წარმოდგენის შემთხვევებში, თუ კონკურენცია შედგა, ხშირად ფასის კლება 20%-ზე მეტს შეადგენს, რის გამოც პრეტენდენტები იძულებული არიან რეალური საბაზრო ფასების შეთავაზების შემთხვევებშიც კი დაასაბუთონ ფასწარმოქმნის ადეკვატურობა,¹⁶ რაც ხშირად ტენდერებში მათი დისკვალიფიკაციის მიზეზი ხდება და ქმნის სატენდერო წინადადების მაღალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტების გამარჯვების შესაძლებლობას. გარდა ამისა, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად განსაზღვრის შემთხვევებში, ტენდერებით მიღებული ეკონომია ნომინალურია. ბაზრის სრულყოფილ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების დროს, რადგან კონკურენციის შედეგად ფასის კლების შესაძლებლობა არ არსებობს და საკონტრაქტო ფასი ყალიბდება არასწორად განსაზღვრული, გაზრდილი სავარაუდო ღირებულების საფუძველზე.

რეკომენდაცია

საბაზრო პირობებისადმი ადეკვატური სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის და შედეგად, საჯარო სახსრების არარაციონალურ ხარჯვასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, ბაზრის კვლევის ეტაპზე შესწავლილ და გაანალიზებულ იქნეს ფასების შესახებ ყველა

¹³ დაახლოებით, 7 აშშ დოლარი/კგ (სულ 5 კგ).

¹⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

¹⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹ მუხლი.

¹⁶ შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნას ითვალისწინებს იმ დაშვებით, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრულია სწორად (საბაზრო ღირებულებასთან მიახლოებით) და არ გულისხმობს საბაზრო ღირებულებაზე ბევრად მეტად წარმოდგენის შემთხვევებს.

საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია. ამასთანავე, უზრუნველყოფილ იქნეს ფასების შესახებ მიღებული ინფორმაციის ერთგვაროვნება მიწოდების კომერციული და ფინანსური პირობების გათვალისწინებით.

პრეტენდენტებისადმი მოთხოვნებსა და შესყიდვის ობიექტის აღწერაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: დაუშვებელია¹⁷ შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში:

- მითითებულ იქნეს კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არ არსებობს შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალებები. ასეთ შემთხვევებში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორიცაა, „მსგავსი“, „კვავალენტური“ და სხვ.
- გამოყენებულ იქნეს ისეთი მახასიათებლები და ტერმინოლოგია, რომლებიც ორაზროვანია და უშვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

გამოვლენილი გარემოება:

აუდიტის პერიოდში პრინტერების კარტრიჯების შესყიდვის მიზნით თსუ-ს გამოცხადებული აქვს რამდენიმე ელექტრონული ტენდერი, მათ შორის აღსანიშნავია თანხობრივად შედარებით მსხვილი ტენდერები.¹⁸ ამ დროს, უმრავლეს შემთხვევაში საქონლის სპეციფიკაციით (აღწერილობა) მოთხოვნილი იყო, რომ საქონელი უნდა ყოფილიყო „ორიგინალი“ და ამასთანავე, პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა შემოთავაზებული ბრენდის მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა (MAF). აღნიშნული მოთხოვნა კონკურენციის შეზღუდვის რისკის მატარებელია, ვინაიდან ის არაპირდაპირ მიუთითებს როგორც მწარმოებელს, ასევე მოდელს. შესყიდვების არსებული პრაქტიკით „ორიგინალი“ კატრიჯი გულისხმობს თავად ორგანიზაციის მწარმოებელი კომპანიების¹⁹ მიერ ქარხნული წესით დამზადებულ საქონელს (ან დამატებით მათ მიერ სერტიფიცირებული კომპანიების მიერ წარმოებულს). ასეთი მოთხოვნა არ იძლევა საშუალებას ტენდერებში მონაწილეობა მიიღოს არაორიგინალი, მაგრამ თავსებადი კატრიჯების მიმწოდებელმა კომპანიებმა. ერთდროულად „ორიგინალობის“ და მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმის (MAF) მოთხოვნა კონკურენციის შემზღუდავ გარემოებას წარმოადგენს. ამას ადასტურებს ერთ-ერთი ტენდერის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება,²⁰ რომლის მიხედვით: მითითება „ორიგინალი – პრინტერის მწარმოებლის მიერ დამზადებული“ პირდაპირ მიაჩნდება კონკრეტული კომპანიების²¹ პროდუქციას. რაც შეეხება „ორიგინალის“ განმარტების მეორე ნაწილს („მწარმოებლის მიერ სერტიფიცირებული კომპანიის მიერ დამზადებული პროდუქტი“), საბჭომ აღნიშნა, რომ ვერ იქნა დადასტურებული ის ფაქტი, რომ აღნიშნული მწარმოებლები ახორციელებენ სხვა კომპანიების სერტიფიცირებას.

შესყიდვის ობიექტის აღწერის მიმართ ასეთმა მიდგომამ განაპირობა, რომ ყველა ქვემოთ განხილულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა შპს „ულტრამ“, რომლის შეთავაზებული ფასები შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი (ან მასთან მიახლოებული) იყო, ხოლო ტენდერები ხშირ შემთხვევაში უკონკურენტო გარემოში ჩატარდა. კერძოდ:

¹⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁸ SPA140008336, SPA150004717, SPA160007582, NAT160003102 და MEP170000056.

¹⁹ ამ შემთხვევაში HP, Xerox, Canon Kyocera.

²⁰ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება შპს „ფორსის“ მიერ წარმოდგენილ DIS160027389_01 საჩივართან დაკავშირებით, 2016 წლის 6 დეკემბერი.

²¹ HP-ის, Xerox-ის, Samsung-ის, Pantum-ის და Canon-ის.

ცხრილი N9. კარტრიჯების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერები (ათას ლარებში)

ტენდერი	მონაწ. რაოდენ.	სავარაუდ. ღირებ.	გამარჯვებ. შეთავაზება	გამარჯვებული პრეტენდენტი	მოთხოვნა „ორიგინალი“	მოთხოვნა MAF
SPA160007582	1	159.0	157.7	შპს „ულტრა“	კი	კი
SPA150004717	1	125.3	125.3	შპს „ულტრა“	კი	კი
NAT160003102	1	38.2	37.7	შპს „ულტრა“	კი	კი
SPA140008336	2	67.3	67.3	შპს „ულტრა“	კი	კი
MEP170000056	3	54.8	53.2	შპს „ულტრა“	ნაწილობრივ	არა

დასკვნა: ზემოაღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია ტენდერებში სატენდერო წინადადების მაღალი ფასის (სავარაუდო ღირებულებასთან მიახლოებული) წარმდგენი კომპანიის გამარჯვება.

კრიტერიუმი: შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციები (აღწერილობები) უნდა პასუხობდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- სპეციფიკაციები არ უნდა შეიცავდეს ზედმეტ დეტალებს (რომლებიც არ არის მნიშვნელოვანი). სპეციფიკაცია უნდა ასახავდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებას გასაგებად, უნდა იყოს სრულყოფილი და შეუძლებელს უნდა ხდოდეს ორაზროვან ინტერპრეტაციას.
- სპეციფიკაციები არ უნდა იყოს მორგებული ერთი რომელიმე ბრენდის ან მოდელის პროდუქტზე.
- შესყიდვის ობიექტის ზომების სპეციფიკაციების განსაზღვრისას გამოყენებულ უნდა იქნეს მიახლოებითი მნიშვნელობები (მაგალითად: პროდუქტის მინიმალური და მაქსიმალური წონა, სიგრძე, სიგანე და ა.შ.).

გამოვლენილი გარემოება:

ავეჯის შესყიდვის მიზნით თსუ-ის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში²² შესყიდვის ობიექტების პარამეტრები (ზომები, მასალები, ფერი და ა.შ.) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო ფიქსირებულ სიდიდეებში.²³ მოცემულ ტენდერებში მონაწილეობდა პრეტენდენტთა შეზღუდული კონტინგენტი:

ცხრილი N10. ავეჯის შესყიდვის მიზნით თსუ-ის მიერ გამოცხადებული ტენდერები (ათას ლარებში)

ტენდერი	მონაწილ. რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება	გამარჯვ. წინადად. ღირებ-ბა	გამარჯვებული პრეტენდენტი	ფასის კლება	%
SPA140018476	1	97.0	87.6	შპს „დანი“	9.4	10
SPA150029271	1	93.5	82.2	შპს „ოფის 1“	11.3	12
MEP170000058	2	200.0	160.0	შპს „ტიფანი“	40.0	20

დასკვნა: ტენდერებში კონკურენტული გარემოს შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრეტენდენტებისადმი მოთხოვნების სწორად დაყენებას და შესყიდვის ობიექტის ადეკვატურ აღწერას. ზედმეტი, არააუცილებელი და ზოგჯერ კანონდარღვევით განსაზღვრული მოთხოვნები

²² SPA140018476, MEP170000058, SPA150029271.

²³ მაგალითად, SPA140018476 ტენდერის (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით – 97.0 ათასი ლარი) სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო: სავარძელი (67სმX57სმX120სმ), სკამი ვიზიტორის, ნიკელის კორპუსით (53სმX53სმX80სმ), ოვალური მაგიდა (260სმX140სმX75სმ), დაფა ცარცის დასადებით, გარშემო ალუმინის კუთხოვანით (180სმX120სმ) და ა.შ.

განაპირობებს როგორც პოტენციური მიმწოდებლების არმონაწილეობას ტენდერებში, ასევე მონაწილეობის შემთხვევებში დაბალი სატენდერო წინადადების ფასების მქონე პრეტენდენტების არასასურველ დისკვალიფიკაციას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გავლენით იზღუდება კონკურენცია. ამას ადასტურებს ცხრილში მოცემული ინფორმაცია, რომლის მიხედვით, იმ ტენდერების ხვედრითი წილი, რომლებშიც ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა, საკმაოდ მაღალია:

ცხრილი N11. კონკურენციის გარეშე ჩატარებული ტენდერების რაოდენობა 2014-2017 წლებში

წელი	გამარჯვებულად გამოვლენილი ტენდერების რაოდენობა	ტენდერები ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით	% ოდენობა
2014	291	166	57
2015	303	161	53
2016	247	103	42
2017	253	109	43
სულ:	1094	539	49

შედეგად, წარმოიშობა ფულადი სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკი.

რეკომენდაცია

შესყიდვების განხორციელების პროცესში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით:

- შესყიდვის ობიექტების მიმართ მოთხოვნები ჩამოყალიბდეს ნათლად, არაორაზროვნად და იმგვარად, რომ შესყიდვების პროცესში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეს ყველა პოტენციურ მიმწოდებელს;
- შესყიდვის საგნის აღწერისას უპირატესობა მიენიჭოს ფუნქციონალურ-ტექნიკური სპეციფიკაციების შემუშავებას, ამავდროულად შესასყიდი საქონლის ტექნიკური პარამეტრები განისაზღვროს იმ დიაპაზონით, რომელიც უზრუნველყოფს საჭიროების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაცია

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა.²⁴ შემსყიდველმა ორგანიზაციამ სატენდერო დოკუმენტაციით საჭიროა დააკონკრეტოს, თუ რა ჩაითვლება ანალოგიურ გამოცდილებად. ამასთანავე, ყოველი ცალკეული მოთხოვნა საჭიროა იყოს ობიექტური, თვალაღმჩი და პროპორციული, რაც ნიშნავს პირობის დაწესებას გააზრებულად და არა შაბლონურად, იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ უნდა ახდენდეს კონკურენციის უსაფუძვლოდ შეზღუდვას.

²⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

გამოვლენილი გარემოებები:

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით თსუ-მ გამოაცხადა ტენდერი,²⁵ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ექვსმა პრეტენდენტმა, რომლებმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს სატენდერო წინადადების შემდეგი ფასები:

- შპს „დაგი“ - 1,571.8 ათასი ლარი.
- შპს „ტრანსშენი“ - 1,449.0 ათასი ლარი.
- შპს „აისი“ - 1,378.3 ათასი ლარი.
- შპს „კომპანიონი“ - 1,335.6 ათასი ლარი.
- შპს „დამბა“ - 1,296.5 ათასი ლარი.
- შპს „ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ - 1,283.1 ათასი ლარი.

ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი (სატენდერო წინადადების დაზუსტების შემდეგ) დისკვალიფიცირებულ იქნა იმ მოტივით, რომ წარდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდებოდა ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოების შესრულების გამოცდილება. შედეგად, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „დამბა“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება.²⁶

დისკვალიფიცირებულ პრეტენდენტს – შპს „ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“ გამოცდილების დასადასტურებლად წარდგენილი ჰქონდა 500 მლნ-ზე მეტი რუბლის შესრულებული სამუშაოების დოკუმენტები, რაც იმ დროს არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით, 17 მლნ ლარს აღემატებოდა (სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო არანაკლებ 1.5 მლნ ლარის). ამასთან ერთად, გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარდგენილი ჰქონდა ბევრად მეტი სირთულის სამუშაოებზე,²⁷ ვიდრე მოთხოვნილი (შიდა სარემონტო სამუშაოები) იყო. გარდა ამისა, იმ პერიოდისთვის კომპანიას მოგებული ჰქონდა შუახვევის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერი – 5.5 მლნ ლარის სავარაუდო ღირებულებით.²⁸ მას ასევე მოგებული ჰქონდა სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული ტენდერი,²⁹ სავარაუდო ღირებულებით – 628.2 ათასი ლარი, რომელიც მოიცავდა შიდა სარემონტო სამუშაოებსაც. შესაბამისად, გადაწყვეტილება დისკვალიფიკაციის შესახებ დაუსაბუთებელია.

ასევე გაირკვა, რომ აღნიშნული სამუშაოები სრული მოცულობით შეასრულა არა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ (შპს „დამბა“), არამედ ქვეკონტრაქტორმა, რომელიც დაფუძნებულია ტენდერის გამოცხადებამდე 3 თვით ადრე. ე.ი. სამუშაოების ფაქტობრივ შემსრულებელ კომპანიას არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა და შპს „დამბას“ მიერ წარდგენილი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები ფორმალურ ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, სატენდერო წინადადების დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტთან მიმართებით შპს „დამბასთვის“ უპირატესობის მინიჭება ამ თვალსაზრისითაც მიზანშეუწონელი გადაწყვეტილებაა.

²⁵ SPA150029941 შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით – 1,669.5 ათასი ლარი.

²⁶ 2016 წლის 5 თებერვლის N85/06, საწყისი ღირებულებით – 1,296.5 ათასი ლარი.

²⁷ სხვადასხვა კონსტრუქციული ნაგებობების მშენებლობაზე, რომელიც მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან შედარებით ბევრად მეტი სირთულისაა.

²⁸ ტენდერი SPA150025374.

²⁹ SPA1500023566.

სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო განსაზღვრული სამუშაოების შესრულების პროცესში ქვეკონტრაქტორების გამოყენების პირობები, მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მექანიზმები.

დასკვნა: ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გაუთვალისწინებლობა იწვევს კანონმდებლობით განსაზღვრული ³⁰ შესყიდვების რაციონალურად განხორციელების ვალდებულების უგულებელყოფას და შედეგად ფულადი სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას. კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელი იყო 13.4 ათასი ლარის ეკონომიის განხორციელება (1,296.5-1,283.1).

პრეისკურანტის საფუძველზე ავტომატური ტექნიკური მომსახურების შესყიდვისას პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის და სატენდერო წინადადების ფასის კლების მეთოდის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია, უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა. ელექტრონული ტენდერის პრეისკურანტის საფუძველზე ჩატარებისას, სატენდერო კომისია სატენდერო დოკუმენტაციაში თავად განსაზღვრავს პრეისკურანტში მოცემული მომსახურების ერთეულების ღირებულების დადგენის წესს, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარდგენილი წინადადების საბოლოო ფასთან მიმართებით. ³¹ ე.ი. მოცემულ შემთხვევაში სატენდერო კომისიას გააჩნია ფართო დისკრეცია და აქედან გამომდინარე, მას ეძლევა შესაძლებლობა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული მიზნისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილება.

გამოვლენილი გარემოება:

ავტომატური ტექნიკური მომსახურების ტენდერებით შესყიდვებისას თსუ-ს გამოყენებული ჰქონდა პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების და პრეტენდენტების მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების კორექტირების შემდეგი მეთოდი: პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრებოდა ტექნიკური მომსახურების სხვადასხვა სახეობის ერთეულების სავარაუდო ღირებულებების მექანიკური დაჯამებით, ხოლო პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადების წარდგენისას დაწესებული იყო შემდეგი შეზღუდვები: „ა) სატენდერო წინადადებით წარდგენილი მომსახურებების ერთეულების ფასები არ უნდა აღემატებოდეს სატენდერო დოკუმენტაციის პრეისკურანტით განსაზღვრულ შესაბამისი მომსახურებების ერთეულების ფასებს; ბ) სატენდერო წინადადების ფასის კლება უნდა განხორციელდეს მომსახურების თითოეული პოზიციის მიხედვით პროპორციულად პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების თითოეული პოზიციის ფასებთან მიმართებით“.

აღნიშნული მეთოდი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით შეიცავს შემდეგი სახის რისკებს:

³⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული.

³¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით.

– პრეისკურანტით გათვალისწინებული მრავალი სახის მომსახურებებიდან მათი სპეციფიკური დანიშნულებების გამო, შემსყიდველს წლის განმავლობაში შეიძლება დასჭირდეს მხოლოდ გარკვეული სახეობები. მათ შორის, ცალკეული სახეობა – რამდენჯერმეც (მაგალითად, ძრავის ზეთის ან სამუხრუჭე ხუნდების გამოცვლა). ხოლო მომსახურებების და დეტალების უმრავლესობის საჭიროება მათი რამდენიმეწლიანი მუშაობის უნარის გამო, შესაძლოა, საერთოდ არ დადგეს (მაგალითად, ძრავის მუხლა ლილვის ან ჯაჭვის შეცვლა და სხვ.). აქედან გამომდინარე, სატენდერო წინადადების წარდგენისას მომსახურების ერთეულების ფასების პროპორციული კლება მათი საჭიროების დადგომის არათანაბარი შესაძლებლობიდან გამომდინარე არ იძლევა რეალურ ეკონომიას, ვინაიდან იმ მომსახურებების მიხედვით ფასების პროპორციული კლება, რომელთა საჭიროების დადგომის ალბათობა ძალიან მცირეა და ძირითად შემთხვევებში მათი ერთეულების ღირებულებები მაღალია, იძლევა ნომინალურ „ეკონომიას“. აღნიშნულს ადასტურებს გამოცხადებული ტენდერების ანალიზი. კერძოდ:

ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით თსუ-მ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი.³² ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს სატენდერო წინადადების შემდეგი ფასები:

შპს ავტოსერვისი „დიდი დილომი“ – 420.2 ათასი ლარი.

შპს „მათემოტორსი“ – 416.3 ათასი ლარი.

ორივე პრეტენდენტის საწყისი შეთავაზება შეადგენდა 540.7 ათას ლარს. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „მათემოტორსი“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება.³³ ტენდერში პრეისკურანტის ღირებულების კლებამ შეადგინა 124.4 ათასი ლარი.

ხელშეკრულების საწყისი პრეისკურანტით გათვალისწინებულმა, ჯამურად 4532 სახეობის მომსახურებიდან (33 ერთეულ ავტომანქანაზე) გამოყენებულ იქნა მხოლოდ 492 სახეობის მომსახურება,³⁴ რომელთა საწყისმა სავარაუდო ღირებულებამ ჯამურად შეადგინა - 41.6 ათასი ლარი, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულებამ ჯამურად შეადგინა - 32.1 ათასი ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეისკურანტის ღირებულების რეალურმა კლებამ (ფაქტობრივად მიღებულმა ეკონომიამ) შეადგინა 9.5 ათასი ლარი (41.6-32.1) და არა - 124.4 ათასი ლარი.

პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების დათვლის ანალოგიური მეთოდი იქნა გამოყენებული აუდიტის პერიოდში ავტომობილების ტექნიკური მომსახურებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული სხვა ტენდერების დროსაც (რომლებშიც ეკონომია ასევე ნომინალური ხასიათისაა):

ცხრილი N12. თსუ-ის მიერ ავტომობილების ტექნიკური მომსახურების მიზნით გამოცხადებული ტენდერები (ათას ლარებში)

ტენდერი	პრეისკურანტის სავარაუდ. ღირებ.	პრეისკურ. სახელშ. ღირებ.	ნომინალური ეკონომია	გამარჯვებული პრეტენდენტი
SPA170016721	540.7	432.6	108.1	შპს „მათემოტორსი“
SPA150035506	587.2	470.9	116.3	შპს „ავტოსერვ - დიდი დილომი“
SPA140028890	499.2	449.2	50.0	შპს „ავტოსერვ - „დიდი დილომი“
SPA130028075	362.4	333.4	29.0	შპს „დისქოვერი ავტოსერვისი“

³² SPA160029747 პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებით – 540.7 ათასი ლარი.

³³ 2017 წლის 5 იანვრის N07/06, პრეისკურანტის ღირებულებით – 416.3 ათასი ლარი (მომსახურების სახელშეკრულებო მოცულობითმა ღირებულებამ შეადგინა 110.0 ათასი ლარი).

³⁴ სხვა მომსახურებების გამოყენების საჭიროება არ დამდგარა.

ზემოაღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალება იქნება პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი, რომელიც შესაძლებელია თავიდან ცალკეულ ტენდერებში ალტერნატიული სახით იქნეს გამოყენებული. კერძოდ: მომსახურების თითოეულ სახეობას შესაძლებელია მიენიჭოს კოეფიციენტი ამ მომსახურების საჭიროების სიხშირიდან გამომდინარე.³⁵ მომსახურების თითოეული სახეობის ერთეულის სავარაუდო ფასის შესაბამის კოეფიციენტზე გამრავლებით, განსაზღვრული იქნება კონკრეტული მომსახურების საშუალო შეწონილი ღირებულება ფიქსირებული გარბენის შემთხვევაში, ხოლო მათი ჯამით, მიიღება პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება. ანალოგიურად იქნება განსაზღვრული სატენდერო წინადადებების ღირებულებებიც.

აღნიშნული მეთოდის უპირატესობა პროპორციული კლების მეთოდთან შედარებით, მისი მოქნილობაა, რომელიც საშუალებას მისცემს პრეტენდენტს, თავისი შეხედულებით დააკლოს ფასები მომსახურების იმ სახეობებს, რომლებსაც თვითონ განსაზღვრავს და არ იქნება იძულებული განახორციელოს პარალელური კლება, რომელიც ზოგჯერ მას არ სურს (ან სურს განახორციელოს კლება არაპროპორციულად, რასაც ვერ ახერხებს) და შედეგად შეიძლება საერთოდ აღარ დააკლოს ფასები. ამასთან ერთად, ასეთი პრინციპით ფასების კლებას ზემოაღნიშნული შემთხვევების მსგავსად, არ ექნება ფორმალური ხასიათი. ასევე ეს მეთოდი მოიცავს და იძლევა შესაძლებლობას, პრეტენდენტის სურვილის შემთხვევაში განხორციელდეს პროპორციული კლება. დროთა განმავლობაში კოეფიციენტების დახვეწის შემდგომ ამ მეთოდის გამოყენება სირთულეებს აღარ გამოიწვევს.

რეკომენდაცია

ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის და სატენდერო წინადადების ფასის კლების არსებული მეთოდის ხარვეზები და განხილულ იქნეს სხვა ალტერნატიული მეთოდი, რომელიც დაეფუძნება:

- პრეისკურანტით განსაზღვრული ცალკეული მომსახურების საჭიროების სიხშირეს;
- პრეტენდენტის მხრიდან სატენდერო წინადადების ფასის კლების მეთოდის შეუზღუდავ არჩევანს.

სამშენებლო პროექტის განხორციელების მეთოდის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: სამშენებლო პროექტების განხორციელების DB მეთოდი გულისხმობს ერთი კონტრაქტორის შერჩევას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება როგორც პროექტის შექმნაზე, ასევე სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე. მეთოდის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ პირველ ეტაპზე ხდება ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შემუშავების მომსახურების შესყიდვა და მის საფუძველზე კონცეპტუალური პროექტის შექმნა ფუნქციური და შედეგზე ორიენტირებული სპეციფიკაციების გამოყენებით; მეორე ეტაპზე შემუშავებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და კონცეპტუალური პროექტის (როგორც ტექნიკური დავალების) საფუძველზე დეტალური (მუშა) პროექტის შემუშავების მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების წარმოების შესყიდვა (რაც განხორციელდება ერთი კონტრაქტორის მიერ). მოცემულ მეთოდს გააჩნია შემდეგი

³⁵ ავტომატური ექსპლუატაციის ინსტრუქციის და გასული წლების გამოცდილებით შესაძლებელია განისაზღვროს საშუალო წლიური გარბენის პირობებში (მაგალითად, 25000კმ) მომსახურების თითოეული სახეობის საჭიროების საშუალო რაოდენობა, რომელიც ამ სახეობისთვის კოეფიციენტად იქნება გამოყენებული (ზოგიერთი შესაძლოა აღმოჩნდეს 1-ზე ნაკლებიც).

უარყოფითი მხარეები: ა) კონცეპტუალური პროექტის და ფუნქციური/შედეგზე ორიენტირებული სპეციფიკაციების შემუშავების სირთულე; ბ) როგორც წესი, გამოიყენება რთული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის; გ) კონტრაქტორს საჭიროა გააჩნდეს სათანადო კვალიფიკაცია იმისათვის, რათა კონცეპტუალურ პროექტზე დაყრდნობით შეძლოს დეტალური პროექტის შემუშავება და შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმება. შემსყიდველი ორგანიზაციის სათანადო ჩართულობა დეტალური პროექტის შემუშავებისა და შეთანხმების პროცესში საჭიროებს შემსყიდველი ორგანიზაციის მაღალ კვალიფიკაციას.

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის დროს საწყისი სავარაუდო ღირებულება გაიანგარიშება რესურსული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, რომელიც შედგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით სამოქმედოდ დაშვებულ სამშენებლო ნორმებსა და წესებში მოცემულ ერთეულზე ნორმატიული ხარჯის დაცვით. ნორმატიული რესურსის განფასებები უნდა განხორციელდეს გამოცემული/აღიარებული ბაზრის კვლევის საფუძველზე.

გამოვლენილი გარემოება

მე-2 კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, თსუ-მ გამოაცხადა ტენდერი³⁶ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით – 5,829.9 ათასი ლარი. პროექტის განხორციელებლად შერჩეულ იქნა სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროექტირება-მშენებლობის - ე.წ. Design-Build (DB) მეთოდი. შესყიდვის მთლიანი მოცულობა შედგებოდა ორი ნაწილისგან: მომსახურებების შესყიდვა და უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.

მომსახურებების შესყიდვა მოიცავდა შემდეგ ოთხ კომპონენტს:

- შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და მასზე დასკვნის მომზადება;
- აუცილებლობის შემთხვევაში შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე დასკვნის საფუძველზე სათანადო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება;
- შესასრულებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება;
- ჩასატარებელი სამუშაოებისთვის ყველა აუცილებელი შეთანხმების და ნებართვის აღება შესაბამისი სამსახურებიდან;

მომსახურებების შესყიდვის ღირებულება მოიცავდა ასევე პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის ხარჯებს.

სამშენებლო სამუშაოები მოიცავდა ფასადის, გადახურვის, სანტექნიკური კვანძის და გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოებს.

სატენდერო დოკუმენტაციით, შესყიდვის მთლიანი მოცულობის განფასება მოთხოვნილი იყო ამ კომპონენტების მიხედვით ისე, რომ თითოეული კომპონენტის (მათ შორის, მომსახურებების ნაწილში) ღირებულების დასაბუთება არ მოუთხოვიათ.

³⁶ SPA180002948. პროექტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საბიუჯეტო ასიგნება (პროგრამული კოდი: 32 07 02 03). სააგენტოსა და თსუ-ს შორის გაფორმებული 2017 წლის 21 დეკემბრის N32070203-09 (თსუ-ის რეგისტრაციით – 2017 წლის 26 დეკემბრის N951/08) ხელშეკრულების მიხედვით, ავანსი (4,663.9 ათასი ლარი) თსუ-ს ჩაერიცხა 2017 წლის 28 დეკემბერს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ანგარიშზე. პროექტის განხორციელებაზე თანხმობა გაცემულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის N2586 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის N289 დადგენილებით შექმნილი უწყებათაშორის კომისიის სხდომის ოქმის (N3, 11.12.2017) საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს სატენდერო წინადადების შემდეგი ფასები:

- შპს „თბილი სახლი“ – 5,829.9 ათასი ლარი;
- შპს „იკორთა 2007“ – 5,546.8 ათასი ლარი;
- შპს „დიკა 2010“ – 5,192.0 ათასი ლარი.

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „დიკა 2010“, რომელთანაც 2018 წლის 3 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება N430/06, ღირებულებით – 5,191.9 ათასი ლარი.

შპს „დიკა 2010“-ის მიერ სისტემაში ატვირთული საწყისი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ჯამური ღირებულება შეადგენდა 5,422.9 ათას ლარს, მათ შორის, მომსახურებების ჯამური ღირებულება – 135.0 ათას ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოების ღირებულება – 5,287.9 ათას ლარს. საბოლოო შეთავაზებული ფასის (5,192.0 ათასი ლარი) შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების შემდეგ,³⁷ მომსახურებების ჯამური ღირებულება გაიზარდა 385.0 ათას ლარამდე (სამშენებლო სამუშაოების ღირებულების შემცირების ხარჯზე), რაც ვერ დასაბუთდა.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით გაირკვა, რომ აღნიშნული მომსახურებები შესრულებული იყო არა უშუალოდ კონტრაქტორის (შპს „დიკა 2010“), არამედ ქვეკონტრაქტორების (ორი სხვადასხვა კომპანიის) მიერ. მათ შორის, შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე დასკვნის მომსახურებაზე ქვეკონტრაქტორის მიერ გაცემულია უარყოფითი დასკვნა,³⁸ რომლითაც გაცემულია რეკომენდაციები როგორც შენობის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარებაზე, ასევე აღდგენა-გამაგრებითი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შემუშავებაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარების და პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შემუშავების შემდეგ კონტრაქტორის დაკვეთით მეორე ქვეკონტრაქტორის მიერ შედგენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით (მოპ) განსაზღვრული იყო სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვით გათვალისწინებული იყო კონსტრუქციების (მათ შორის, საძირკვლების) გამაგრების სამუშაოები. სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა,³⁹ პროექტის განხორციელებას კონსტრუქციების (მათ შორის, საძირკვლების) გამაგრების სამუშაოების დაწყებით ითვალისწინებდა. ამის შემდგომ ზემოაღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები ისე დაიწყო, რომ კონსტრუქციების და საძირკვლების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები⁴⁰ არ ჩატარებულა.

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში დასრულებული იყო მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების მიწოდება, რაც თსუ-ს სრულად ჰქონდა გადახდილი (385.0 ათასი ლარი). სამშენებლო სამუშაოები ამ ეტაპზე დამთავრებული არ იყო.

აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით გამოვლინდა რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით მაღალი რისკის შემცველი გარემოებები, რომლებიც განაპირობა პროექტის განხორციელების ზემოაღნიშნული მეთოდის გამოყენებამ.

სამშენებლო პროექტების განხორციელების DB მეთოდს გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები. მის ერთ-ერთ უარყოფით მხარეს ზოგადად წარმოადგენს შესყიდვის საშუალებად

³⁷ რის მიხედვითაც განისაზღვრა სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვა.

³⁸ კვლევა განხორციელდა ვიზუალური მეთოდით.

³⁹ სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება N4085584, გაცემის თარიღი 27.07.2018 წ.

⁴⁰ აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების შესყიდვა ზემოაღნიშნული ტენდერით არ იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, შესყიდვა ცალკე უნდა განხორციელებულიყო.

ტენდერის გამოყენების სირთულე (გარდა ტიპური პროექტების განხორციელების შემთხვევებისა). კერძოდ, რადგან როგორც საპროექტო, ასევე სამშენებლო სამუშაოები ერთმა კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს, ტენდერის გამოცხადებისას, საპროექტო დოკუმენტაციის არარსებობის პირობებში, შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოების სწორად განფასება და შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ადეკვატურად განსაზღვრა.⁴¹ შესაბამისად, გაურკვეველია, თუ როგორ იქნა დათვლილი ბაზრის კვლევის ეტაპზე და სატენდერო წინადადების წარდგენისას კომპანიების მიერ მიწოდებული ფასები.⁴² ასეთ შემთხვევებში ტენდერებში ფასების კლებაც მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში შეიძლება დაფიქსირდეს და მაღალი რისკი არსებობს იმისა, რომ რეალურ საბაზრო ღირებულებამდე ვერ ჩამოვიდეს (რადგან თვით პრეტენდენტებსაც არ აქვთ ზუსტი წარმოდგენა ფასის ადეკვატურობაზე და დაზღვევის მიზნით, შესაძლოა, მაღალ ფასებზე შეაჩერონ შეთავაზება).

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა გამოკითხვის საშუალებით, რომლის შედეგადაც ოთხი კომპანიის მიერ მიწოდებულ იქნა შემდეგი ფასები:

ცხრილი N13. ტენდერის (SPA180002948) ბაზრის კვლევის მონაცემები⁴³ (ათას ლარებში)

კომპანიის დასახელება	მომსახურების ჯამური ღირებულება	სამშენ. სამუშაოების ჯამური ღირებულება	სულ
შპს „თბილი სახლი“	170.0	5,659.9	5,829.9
შპს „დაგი“	31.7	6061.4	6,093.1
შპს „მაგისტრალი“	67.4	2,783.9	2,851.3
შპს „ტერა“	115.0	4,341.3	4,456.3

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბაზრის კვლევის ეტაპზე ორმა კომპანიამ მიაწოდა, დაახლოებით, თანაბარი ოდენობის მაღალი ფასი, ხოლო დანარჩენმა ორმა – მნიშვნელოვნად დაბალი ფასი. მიუხედავად ამისა, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას, ორიენტაცია გაკეთებულია მაღალ ფასებზე, რაც ვერ იქნა დასაბუთებული. არ არის შეფასებული ოთხი პოტენციური მიმწოდებლის წინასწარი გამოკითხვის შედეგები კომპონენტების მიხედვით, ანალიტიკურ ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის კვლევას საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე ფორმალური ხასიათი ჰქონდა, სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას, ორიენტაცია გაკეთებულია არა საშუალო ფასზე, არამედ შეთავაზებულ მაღალ ფასებზე.

შესყიდვის მომსახურების კომპონენტების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას არ არის გათვალისწინებული სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტარიფები, რომლის მიხედვით, მომსახურების კომპონენტების ღირებულება ბევრად ნაკლებია, ვიდრე კერძო კომპანიების შემოთავაზებები. მაგალითად, მომსახურების ერთ-ერთ კომპონენტში (შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და დასკვნა) გადახდილია 250.0 ათასი ლარი. სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტარიფების მიხედვით, ⁴⁴ „ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და დეტალური გამოკვლევისათვის საჭირო ღონისძიებების

⁴¹ გამოწვევის წარმოდგენს ტიპური პროექტები, რომლებითაც წინასწარ განსაზღვრულია მიახლოებითი ღირებულება და საჭიროებს მხოლოდ ადაპტაციას კონკრეტული შემთხვევებისთვის. DB მეთოდის გამოყენება უმეტესად ასეთ შემთხვევებშია მიზანშეწონილი. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია ასევე საავტორო უფლების მქონე პროექტების შესყიდვისას.

⁴² როგორც ბაზრის კვლევის დოკუმენტებით, ასევე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო მხოლოდ სამუშაოთა ზოგადი ჩამონათვალი გამსხვილებული მიახლოებითი მოცულობებით, ე.წ. დეფექტური აქტის ანალოგიურად და ისიც გამოსაყენებელი მასალების სახეობების, რაოდენობის და ა.შ. მითითების გარეშე (დეფექტური აქტები გამოიყენება მხოლოდ ძალიან მცირე მოცულობის სამუშაოების განსაზღვრისთვის და არა დიდი პროექტების შემთხვევებში).

⁴³ კომპანიების მიერ მიწოდებული მთლიანი ღირებულების კომპონენტები ცხრილში დაჯგუფებულია ორ ძირითად ნაწილად.

⁴⁴ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილების („სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“) დანართი N1-ის 149-ე პოზიციის მიხედვით.

შედგენის“ საფასური 10000 კუბ.მ-ზე მეტი მოცულობის შენობა-ნაგებობისთვის განსაზღვრულია – „1300 ლარი + 300 ლარი, ყოველ დამატებით 5000 კუბ.მ-ზე“. შესაბამისად, დაახლოებით, 150000 კუბ.მ მოცულობის ⁴⁵ თსუ-ის მე-2 კორპუსის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, ბიუროს ტარიფების მიხედვით დაჯდება 9.7 ათასი ლარი (1.3+0.3*28) და არა – 250.0 ათასი ლარი.

ნებართვების ღირებულების დადგენას არ ესაჭიროებოდა ბაზრის კვლევა, რადგან გაიცემა მხოლოდ სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ და ფასები ფიქსირებულია. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მოსაკრებელი შეადგენს 50 ლარს. ⁴⁶, ხოლო სსიპ-ის მომსახურების საფასური დაწესებულია მხოლოდ დაჩქარებული მომსახურებებისთვის (მაქსიმალური საფასური შეადგენს 1000 ლარს) და ისიც კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებზე არ ვრცელდება. შესაბამისად, ნებართვის ასაღებად კონტრაქტორისთვის გადახდილია არაადეკვატური ოდენობის თანხა – 50.0 ათასი ლარი.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად განსაზღვრას ასევე ადასტურებს შემდეგი გარემოებები:

მომსახურებების ნაწილი: როგორც გაირკვა, მომსახურების კომპონენტების საბაზრო ღირებულებამ (გარდა შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე დასკვნისა) შეადგინა, დაახლოებით, 120.5 ათასი ლარი. ზემოაღნიშნულ ღირებულებას თუ დავამატებთ ტექნიკურ მდგომარეობაზე დასკვნის და საპროექტო დოკუმენტაციაზე ექსპერტიზის დასკვნების საორიენტაციო ღირებულებებს (ბიუროს ტარიფების მიხედვით⁴⁷) ხელშეკრულების მომსახურებების ნაწილის რეალური ჯამური საბაზრო ღირებულება იქნებოდა, დაახლოებით, 159.2 ათასი ლარის ფარგლებში (9.7+120.5+ 29.0) და არა – 385.0 ათასი ლარი.⁴⁸

ცხრილი N14. თსუ-ის მიერ ხელშეკრულების მომსახურებების ნაწილში გადახდილი თანხების სავარაუდო საბაზრო ღირებულებებთან შედარება (ათას ლარებში)

გაწეული მომსახურების კომპონენტები	კონტრაქტორისთვის გადახდილი	სავარაუდ. საბაზრო ღირებულება	სხვაობა
ტექნიკურ. მდგომარ. დასკვნა	250.0	9.7	240.3
დასკვნის საფუძველზე პროექტი და ხარჯთაღ. სარეაბილ. სამუშაოებ. პროექტი და ხარჯთაღ.	5.0	120.5	14.5
შეთანხმებების და ნებართვების აღება	80.0		
პროექტის და ხარჯთაღ. ექსპერტიზა	50.0		
პროექტის და ხარჯთაღ. ექსპერტიზა	-	29.0	(29.0)
სულ:	385.0	159.2	225.8

თსუ-ის მიერ მომსახურების ცალკეულ კომპონენტზე ბაზრის სწორი კვლევის და ტენდერების ცალკე გამოცხადების შემთხვევაში, კონკურენციის შედეგად გაჩნდებოდა შესაძლებლობა, შემცირებულიყო ზემოაღნიშნული სავარაუდო საბაზრო ღირებულებები და მიეღოთ ფულადი სახსრების დამატებითი ეკონომია. მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა მიზანშეწონილი საპროექტო

⁴⁵ თსუ-ის მე-2 კორპუსის აზომვითი ნახაზების მიხედვით, რაც ასევე დაადასტურეს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა.

⁴⁶ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

⁴⁷ საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების (N171, 08.05.2012წ.) დანართი N1-ის 134-ე და 136-ე პოზიციების მიხედვით, მშენებლობის პროექტის ერთი ნაწილის ექსპერტიზის საფასური შეადგენს 500 ლარს, ხოლო ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის საფასური – ღირებულების 0.5%. კერძოდ, პროექტის, დაახლოებით, 10 ნაწილისა და 4,800.0 ათასი ლარის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პირობებში: $0.5 \cdot 10 \cdot 4,800.0 \cdot 0.5\% = 29.0$.

⁴⁸ აღნიშნული მომსახურებების ბიუროსგან შესყიდვის განხორციელება შესაძლებელი იყო ტენდერის გარეშე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 3¹ პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოებზე ასევე ცალკე ტენდერის გამოცხადება,⁴⁹ რაც ასევე წარმოშობდა დამატებითი ეკონომიის მიღების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბაზრის კვლევის ეტაპზე კომპანიების მიერ მიწოდებული მომსახურებების ჯამური ღირებულება მერყეობდა 31.7 ათასი ლარიდან 170.0 ათას ლარამდე, რაც ასევე მიუთითებს სატენდერო წინადადების არაადეკვატურ ღირებულებაზე.

სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო, რომ მიმწოდებელს შემსყიდველისთვის უნდა წარედგინა ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების ასლი. მომსახურებების ნაწილში თსუ-სთვის წარდგენილი იყო მხოლოდ ერთ ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულება, ხოლო მეორე ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულება – არ იყო წარდგენილი. მას გაწეული აქვს როგორც შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე დასკვნის გაცემასთან, ასევე საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზასთან დაკავშირებული მომსახურებები (დასკვნები ინახება თსუ-ის შესაბამის სამსახურში). აუდიტის მიმდინარეობისას თსუ-ის მოთხოვნის საპასუხოდ გამოგზავნილ წერილში კონტრაქტორი აღნიშნავს, რომ მას მეტი ქვეკონტრაქტორი არ ჰყავს (რაც არ შეესაბამება რეალობას) და ამ მოტივით დოკუმენტები არ იქნა წარმოდგენილი.

სამშენებლო სამუშაოების ნაწილი: DB მეთოდის გამოყენებისას მიმწოდებელი კომპანია თვითონ ახდენს (ან უკვეთავს) როგორც თავისივე შესასრულებელი სამუშაოების განფასებას, ასევე თვითონვე უკვეთავს ექსპერტიზის დასკვნასაც, რაც, ბუნებრივია, წარმოშობს ღირებულების გაზრდის რისკს. ექსპერტიზის დასკვნებით არ არის განხორციელებული რაიმე სახის კორექტირება (ფორმალური ხასიათისა კი) არც სამუშაოთა მოცულობებში, არც განფასებაში (პრაქტიკაში შეუძლებელია, რომ ორმა ხარჯთაღრიცხველმა დამოუკიდებლად მრავალმილიონიანი პროექტი განაფასოს ზუსტად ერთნაირად, თეთრების სიზუსტით). აღნიშნული განპირობებულია ინტერესთა კონფლიქტით, რომელიც წარმოიშობა იმ გარემოებით, რომ სამუშაოების შემსრულებელი იმავდროულად როგორც პროექტის, ასევე ექსპერტიზის დამკვეთია.

სამუშაოების საპროექტო ხარჯთაღრიცხვა შედგება შემდეგი 10 კომპონენტისგან:

ცხრილი N15. თსუ-ის მე-2 კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო ხარჯთაღრიცხვის შემადგენელი კომპონენტები (ათას ლარებში)

სამუშაოების ჩამონათვალი	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება
ფასადის სამუშაოები	1,320.9
ფანჯრების და ვიტრაჟების მოწყობა	1,353.7
ქანობიანი გადახურვის მოწყობა	913.7
რბილი გადახურვის მოწყობა	94.0
სანიტარული კვანძის სამუშაოები	206.5
გარე კანალიზაცია და წყალსადენი	18.9
შიდა წყალსადენი და კანალიზაცია	51.1
სანიტარული კვანძის ელექტროსამუშაოები	22.9
ვენტილაციის მონტაჟი	32.3
გათბობის მონტაჟი	792.9
ჯამი:	4,806.9

შემოწმებით გაირკვა, რომ საპროექტო ხარჯთაღრიცხვის შრომის ანაზღაურების ხარჯების განყოფილებაში ერთეული კაც-საათების ღირებულებები არ შეესაბამება ქვეყანაში საყოველთაოდ მიღებული, პრაქტიკაში გამოყენებადი და საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებული მეთოდური

⁴⁹ შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო პროექტის განხორციელების DBB მეთოდის გამოყენება (რაც გულისხმობს საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების ცალ-ცალკე შეძენას).

ცნობარით⁵⁰ განსაზღვრულ საბაზრო ფასებს (6.0 - 7.8 ლარი/კაც-საათი). უფრო მეტიც, საპროექტო ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული ერთეული კაც-საათების ღირებულებები არაადეკვატურად მაღალია და ცალკეულ შემთხვევებში შეადგენს 120-150 ლარს/კაც-საათზე. აღსანიშნავია, რომ ხარჯთაღრიცხვის თითოეულ კომპონენტზე მითითებულია, რომ „ხარჯთაღრიცხვა შედგენილია 2018 წლის მიმდინარე ფასებით“, რაც არ შეესაბამება რეალობას. თითოეული გაზრდილი ღირებულების პოზიციის მიხედვით თანხების დათვლის და მეთოდური ცნობარის შესაბამისად გაანგარიშებულ ფასებთან შედარებით, ვიღებთ მნიშვნელოვან სხვაობებს.⁵¹

ცხრილი N16. საპროექტო ხარჯთაღრიცხვით განფასებულ შრომის ანაზღაურებასა და მეთოდური ცნობარის მიხედვით განფასებულ შორის გამოვლენილი სხვაობები (ათას ლარებში)

ხარჯთაღრიცხვების ჩამონათვალი	შრომის ანაზღაურება საპროექტო ხარჯთაღრიცხვით	შრომის ანაზღაურება მეთოდ. ცნობარით	სხვაობა	სხვაობა დანარიცხებით
ფასადის სამუშაოები	625.8	341.0	284.8	411.3
ფანჯრები და ვიტრაჟები	183.5	168.2	15.3	22.1
ქანობიანი გადახურვა	304.5	92.7	211.8	305.9
რბილი გადახურვა	25.9	11.4	14.5	20.9
სანიტარული კვანძი	48.1	39.7	8.4	12.1
გარე კანალიზაცია	4.1	3.2	0.9	1.4
შიდა კანალიზაცია	8.8	14.1	(5.3)	(7.8)
ელექტროსამუშაოები	3.0	4.1	(1.1)	(2.4)
ვენტილაცია	3.1	1.9	1.3	2.3
გათბობის მონტაჟი	196.5	138.5	57.9	124.7
ჯამი:	1,403.3	814.8	588.5	890.5

კაც-საათების არაადეკვატურ ფასებთან დაკავშირებით პროექტის განმფასებლის წერილით⁵² გაკეთდა განმარტება, რომლის მიხედვითაც „მოცულობათა უწყისი განფასებული იქნა ტენდერში ნავაჭრი ფასებიდან გამომდინარე“. აღნიშნული განმარტება არგუმენტაციას მოკლებულია შემდეგი გარემოებების გამო:

- სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი არ იყო და შესაბამისად, არც სატენდერო წინადადებით იყო განფასებული სამუშაოთა ერთეულები (მათ შორის, შრომის ანაზღაურების ნაწილში). შესაბამისად, „ტენდერში ნავაჭრი ფასები“ წარმოადგენს მხოლოდ პროექტის ჯამურ ღირებულებას და არა კაც-საათების ღირებულებას;
- პროექტის ჯამური ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს სამუშაოთა ერთეულების განფასებით, მოცულობებზე გამრავლებით და მათი დაჯამებით და არა პირიქით (პროექტის ჯამური ღირებულებიდან არ განისაზღვრება სამუშაოთა ერთეულების ღირებულებები);
- ზოგადად, ხარჯთაღრიცხველის ფუნქციაა (შესაბამისად, პროექტის განფასების მიზანია) განუსაზღვროს დამკვეთს, თუ რა ღირებულების იქნება ესა თუ ის პროექტი. პროექტის განმფასებლის განმარტებით კი მოხდა პირიქით – დამკვეთმა განუსაზღვრა და დაუკვეთა ხარჯთაღრიცხველს პროექტის ღირებულება და ამ ღირებულებაზე ორიენტირებით განფასდა სამუშაოთა ერთეულები.

⁵⁰ მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ პერიოდულად გამოცემული მეთოდური ცნობარი „მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ფასების გაანგარიშების შესახებ“, აღიარებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბრის N439 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის („სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდიკა“) მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით.

⁵¹ დეტალური გაანგარიშება მოცემულია ელექტრონული სახით. საპროექტო ხარჯთაღრიცხვის ცალკეულ პოზიციებზე კაც-საათების ერთეულების ღირებულებები მეთოდური ცნობარის მონაცემებთან შედარებით შემცირებულია. გაანგარიშებაში ეს გათვალისწინებულია და ამ პოზიციების მიხედვით დათვლილი სხვაობები გამოკლებულია გაზრდილი ღირებულებების ჯამს.

⁵² 2018 წლის 21 ნოემბრის N144.

დასკვნა: ზემოაღნიშნული გარემოებების შედეგად თსუ-ის მე-2 კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის ღირებულება გაზრდილია ჯამურად, დაახლოებით, 1,116.3 ათასი ლარით (225.8 ათასი ლარით მომსახურებების ნაწილში + 890.5 ათასი ლარით სამუშაოების ნაწილში), რამაც შექმნა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური და არაეკონომიური ხარჯვის პირობები.

რეკომენდაცია

საბაზრო პირობების შესაბამისი ფასწარმოქმნის უზრუნველყოფისა და სატენდერო პროცედურებში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის წინამოსამზადებელ ეტაპზე გააანალიზდეს პრაქტიკაში არსებული მისი განხორციელების სხვადასხვა მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი და მიღებულ იქნეს კონკრეტული შემთხვევის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები

წიგნების შესყიდვა

თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებით⁵³ თსუ-ის რექტორს საქვეანგარიშოდ გამოეყო ჯამურად 13538.32 აშშ დოლარის ეკვივალენტი 23829.13 ლარი, მისი ავტორობით აშშ-ში გამოცემული წიგნების⁵⁴ კომპანია Nova science publishers-გან შესაძენად. ბრძანებების მიხედვით, წიგნების შეძენის მიზანს წარმოადგენდა თსუ-ის სახელით მათი გავრცელება, სასაჩუქრედ და თსუ-ის ბიბლიოთეკაში განთავსება.

წიგნების შეძენა განხორციელდა რექტორის ინიციატივით, რომელიც ამ ინიციატივის თაობაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელისადმი წერილობით მიმართვებში მიუთითებს, რომ თუ წიგნები შეძენილი იქნება უშუალოდ ავტორის მიერ, შესაძლებელია ფასდაკლება და აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ წიგნები შეძენილი ყოფილიყო პირადად მის მიერ. ზემოაღნიშნული თანხა ჩაირიცხა რექტორის პირად ანგარიშზე. მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით აღნიშნული წიგნები შეძენის შემდგომ გადაეცა თსუ-ს.

ზემოაღნიშნული შესყიდვები განხორციელდა კანონმდებლობის დარღვევით, კერძოდ:

- შესყიდვების განხორციელების პროცესში მიმწოდებელი იყო ფიზიკური პირი (რექტორი) და არა კომპანია Nova science publishers (ამ კომპანიასთან თსუ-ს სამართლებრივი ურთიერთობა არ გააჩნდა). ამასთანავე, შესყიდვა განხორციელდა ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების გარეშე, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნას.⁵⁵

- შესყიდვების განხორციელებისას წარმოიშვა კანონმდებლობით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტი,⁵⁶ რადგან მიმწოდებელი ამავედროულად წარმოადგენდა შემსყიდველს (თსუ-ს რექტორს) და მოცემული შესყიდვის ინიციატორს. ამასთანავე, შესყიდვაზე პასუხისმგებელ ფიზიკურ პირს (თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) და მიმწოდებელს (რექტორს) შორის

⁵³ N559/02-06, 09.06.2014წ; N337/02-06, 22.04.2014წ. და N717/02-06, 09.07.2014წ.

⁵⁴ „Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After“, „Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium, Central Caucasus: Problems of Geopolitical Economy“, „Georgia between Elections: A monthly Diary 2010-2012 - თითოეული 50 ეგზემპლარის ოდენობით, 40%-იანი ფასდაკლებით, ხოლო წიგნის - Necroeconomics“, 100 ეგზემპლარი - 50%-იანი ფასდაკლებით შესაძენად.

⁵⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1¹ პუნქტის მოთხოვნა.

⁵⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით.

არსებობდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრული ურთიერთობები (როგორც ურთიერთდამოკიდებული პირები). შესაბამისად, უნდა შეწყვეტილიყო მონაწილეობა შესყიდვის განხორციელებაში.

- თსუ-ის რექტორმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე მიწერილი ზემოაღნიშნული წერილებით მოახდინა ზეგავლენა, რითაც დაარღვია კანონმდებლობის მოთხოვნა, რომლის მიხედვით, დაუშვებელია პრეტენდენტმა ან მიმწოდებელმა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ პირზე პირდაპირ ან არაპირდაპირ მოახდინოს ზეგავლენა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.⁵⁷

ავეჯის შესყიდვა

სხვადასხვა კომპონენტისგან შემდგარი ავეჯის შესყიდვის მიზნით, თსუ-მ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი⁵⁸ ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე. ბაზრის კვლევის ეტაპზე ინფორმაცია მიწოდებულ იქნა ორი კომპანიის მიერ:

- შპს „კომფორტი 2006“ – 73.7 ათასი ლარი.

- შპს „საქართველოს კარიტასი“ – 136.2 ათასი ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს სატენდერო წინადადების შემდეგი ფასები:

- შპს „ჯეო+“ – 62.3 ათასი ლარი;

- შპს „ტიფანი“ – 67.7 ათასი ლარი;

- ი/მ გიორგი მინაძე – 73.8 ათასი ლარი;

- შპს „ნივე ჯგუფი“ – 74.4 ათასი ლარი.

სატენდერო წინადადების დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი („შპს ჯეო+“) დისკვალიფიცირებულ იქნა იმ მოტივით, რომ მან შესთავაზა შპს „ჯეო გრუპის“ მიერ დამზადებული ავეჯი, ხოლო წარდგენილი ჰქონდა საკუთარი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (მოთხოვნილი იყო მწარმოებლის). მოტივად ასევე გამოყენებულ იქნა ის გარემოება, რომ ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებული მოთხოვნები სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო დაფიქსირებული (მიუხედავად იმისა, რომ არც შესყიდვების კანონმდებლობით და არც სატენდერო დოკუმენტაციით ქვეკონტრაქტორის გამოყენების უფლება შეზღუდული არ იყო).

სატენდერო წინადადების შემდეგი დაბალი ფასის მქონე შპს „ტიფანი“ დისკვალიფიცირებულ იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტი ჩაითვალა არასრულყოფილად.

შედეგად, გამარჯვებულად გამოცხადდა ი/მ გიორგი მინაძე, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება.⁵⁹

ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელების პროცესში გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობით განსაზღვრული საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ვალდებულება:

⁵⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

⁵⁸ NAT170009527 შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით – 85.9 ათასი ლარი.

⁵⁹ 2017 წლის 17 ოქტომბრის N856/06, ღირებულებით 73.8 ათასი ლარი.

- გაურკვეველია, თუ რომელ მონაცემს ეფუძნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულება (85.9 ათასი ლარი) მაშინ, როცა ბაზრის კვლევის ეტაპზე მიღებულ იქნა მხოლოდ ორი პოტენციური მიმწოდებლის ფასები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავებულია როგორც ერთმანეთისგან, ისე სავარაუდო ღირებულებისგან;
- შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არცთუ სწორად განსაზღვრის ფაქტს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ოთხივე პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული ფასები სავარაუდო ღირებულებაზე მნიშვნელოვნად ნაკლები აღმოჩნდა;
- სატენდერო დოკუმენტაციით მწარმოებლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა მიზანშეუწონელია იმის გათვალისწინებით, რომ წარმოადგენს შემზღუდავ გარემოებას იმპორტიორი და სავაჭრო კომპანიებისთვის (რის გამოც განხორციელდა დაბალფასიანი პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია);
- გამარჯვებულ პრეტენდენტს ცალკეულ პოზიციაზე შეთავაზებული ჰქონდა უკრაინული და ჩინური წარმოების ავეჯი. ამ კომპონენტებზე მას წარდგენილი არ ჰქონდა მწარმოებლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, მაგრამ დაბალფასიანი პრეტენდენტისგან განსხვავებით, ის დისკვალიფიკაციას არ დაექვემდებარა;
- სწორად რომ ყოფილიყო განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, დაბალფასიანი პრეტენდენტის ფასის კლება 20%-ზე ნაკლები იქნებოდა, აღარ დასჭირდებოდა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა და არ შეიქმნებოდა მისი დისკვალიფიკაციის საფუძველი.⁶⁰

არსებობდა შესაძლებლობა, განხორციელებულიყო 11.5 ათასი ლარის ეკონომია (73.8 - 62.3 ათასი ლარი).

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით თსუ-მ გამოაცხადა ტენდერი.⁶¹ მომსახურება მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს: თსუ-ის ადმინისტრაციული მართვის ოპტიმიზაცია, ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება, შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტის განხორციელება, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკისა და საბიუჯეტო პროცესის მართვის სრულყოფა, ერთიანი საინოვაციო პოლიტიკის გატარება და საინოვაციო მენეჯმენტის სრულყოფა.

დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017 წლის საბიუჯეტო ასიგნება (პროგრამული კოდი: 32 04 03), საიდანაც თსუ-ს თანხა ჩაერიცხა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ანგარიშზე.

სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო, რომ პრეტენდენტი კომპანია უნდა ყოფილიყო საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიათა ქსელის „დიდი ოთხეულის“ წევრი, წევრის წარმომადგენლობა, ფილიალი. აღნიშნული მოთხოვნა ეწინააღმდეგება შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნას, რომლის მიხედვით, სატენდერო დოკუმენტაციით დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის წარმოშობის წყაროს და მწარმოებლის მითითება.⁶²

⁶⁰ ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მეორე დაბალფასიან პრეტენდენტს (შპს „ტიფანი“) მოგებული ჰქონდა თსუ-ს მიერ ასევე ავეჯის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერი (MEP170000058) და გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება (N658/06, 10.08.2017წ.) უფრო მაღალი ღირებულებით (160.0 ათასი ლარი), რომელიც პრეტენზიის გარეშე შეასრულა.

⁶¹ SPA170003212 შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით – 180.0 ათასი ლარი.

⁶² მართალია, ეს არ იყო მითითება კონკრეტულ მიმწოდებელზე, მაგრამ მითითებულია ოთხი კონკრეტული მიმწოდებლის შეზღუდული ჯგუფი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს სატენდერო წინადადების შემდეგი ფასები:

- „დელოიტი და ტუმი“ – 162.7 ათასი ლარი;

- „ფრანსვოთერჰაუსკუპერსი ცენტრალური აზია და კავკასია ბი ვი-ს ფილიალი საქართველოში“ – 160.9 ათასი ლარი.

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ეს უკანასკნელი და 2017 წლის 21 აპრილს მასთან გაფორმდა ხელშეკრულება.⁶³ გაწეული მომსახურების შესაბამისად, თანხა სრულად იქნა გადახდილი, ხოლო მიწოდების ვადის 7 დღით გადაცილებისთვის მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო 193 ლარის ოდენობით.

მიმწოდებლის მიერ გაცემული ზოგიერთი რეკომენდაცია ისეთ პრობლემებს უკავშირდება, რომლებზეც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ უკვე გაცემული იყო რეკომენდაციები, ხოლო ზოგიერთი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც კანონმდებლობით არის დარეგულირებული.⁶⁴

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის რეკომენდაციები პრაქტიკულად შესრულებული არ არის (ძირითადად, ობიექტური მიზეზების გამო). აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული შესყიდვის გადაწყვეტილების მიღებისას არ არის გაანგარიშებული და დასაბუთებული ხარჯის გაწევის შედეგად მისაღები სარგებელი.

ექსპერტიზის ხარჯები

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვებისას ცალკეულ შემთხვევებში სატენდერო დოკუმენტაციებში შენიშვნის სახით მითითებული იყო, რომ „საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილების თანახმად, სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ექსპერტიზის მომსახურების ტარიფი“. შესაბამისად, პრეტენდენტების სატენდერო წინადადებებსა და გამარჯვებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებების ხარჯთაღრიცხვებში დამატებულია ექსპერტიზის ხარჯები მთლიანი ღირებულებების 0.5%-დან 1.7%-მდე ოდენობებით. მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტარიფები და რაიმე სახის ვალდებულება ამ საფასურის ხარჯთაღრიცხვაში ჩართვასთან და ვინმეზე დაკისრებასთან დაკავშირებით განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, ექსპერტიზის ხარჯებით ხარჯთაღრიცხვების გაზრდა დაუსაბუთებელია.⁶⁵ კერძოდ, ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში გამოვლინდა სულ 30.0 ათასი ლარის ექსპერტიზის ხარჯების დარიცხვის დაუსაბუთებელი მოთხოვნა:

⁶³ N324/06 ღირებულებით – 160.9 ათასი ლარი.

⁶⁴ მაგალითად, რეკომენდაციები შტატების ოპტიმიზაციასთან, ქონების ეფექტიანად გამოყენებასთან და ა.შ. გაცემულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში და ეს პრობლემა თსუ-ის ხელმძღვანელობისთვის ცნობილი იყო. ხოლო ბიუჯეტის მომზადების და დაფინანსების საკითხები რეგულირდება კანონმდებლობით.

⁶⁵ გამოდის, რომ ექსპერტიზის ჩატარება დაევალი მიმწოდებელს (რაც თავისთავად ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს) და ამას დაემატა ისიც, რომ გადახდა ფაქტობრივად თსუ-მ განახორციელა.

ცხრილი N 17. ხარჯთაღრიცხვებზე დამატებული ექსპერტიზის ხარჯები (ათას ლარებში)

ტენდერის ნომერი	გამარჯვებული კომპანია	ხელშეკრ. N	ხელშეკრ. თარიღი	ხელშეკრ. საბოლოო ღირებულება	მათ შორის, ექსპერტიზის ხარჯი
SPA150024123	შპს „დავითი“	953/06	22.10.2015	588.5	6.7
SPA150029924	შპს „აკვადუკი 07“	1209/06	14.12.2015	366.2	6.1
SPA150029941	შპს „დამბა“	85/06	05.02.2016	1,406.3	6.5
SPA150034850	შპს „სივილ კონსტრაქშენ“	110/06	12.02.2016	638.0	10.7
ჯამი:					30.0

კულტურული ღონისძიების მომსახურების შესყიდვა

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სიმპოზიუმის (ფარმაცევტული და ბიოსამედიცინო ანალიზი) ფარგლებში გათვალისწინებული კულტურული ნაწილის ორგანიზების მომსახურების შესყიდვის მიზნით, თსუ-მ ი/მ სოფიკო ბრეგვაძესთან (ს/კ 01005038245) 2015 წლის 3 ივლისს გამართებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა ხელშეკრულება.⁶⁶ ხელშეკრულების მიხედვით, გასაწევი მომსახურების ბიუჯეტი შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი N18. ი/მ სოფიკო ბრეგვაძესთან გაფორმებული ხელშეკრულების ბიუჯეტი (ლარებში)

დასახელება	სტუმრების რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ
ტრანსფერი ერთი მიმართულებით	112	25	2,800
მუხრანის ტური	200	65.12	13,025
თბილისის ტური	200	12	2,400
ყაზბეგის ტური	50	85	4,250
სიღნაღის ტური	25	90	2,250
ვარძიის ორდღიანი ტური	50	228	11,400
სულ:			36,125

მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე სახელშეკრულებო ღირებულება სრულად არის ანაზღაურებული.

ცხრილში მითითებული ზოგადი ჩამონათვალის გარდა, არც ხელშეკრულებას და არც მიღება-ჩაბარების აქტებს არ ახლავს დეტალური გაანგარიშება, თუ რა ხარჯებს მოიცავდა თითოეული ტური. ასევე უცნობია სტუმრების ფაქტობრივი რაოდენობა. ვერ იქნა წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები, რის საფუძველზეც გაანგარიშებულ იქნა სახელშეკრულებო ღირებულება.

ი/მ სოფიკო ბრეგვაძის სიტყვიერი ახსნა-განმარტების მიხედვით, ტურები მოიცავდა მგზავრობის და კვების ხარჯებს, ხოლო ვარძიის ტური დამატებით – სასტუმროს ხარჯსაც, თუმცა მის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტები, რითაც დადასტურდებოდა აღნიშნული ხარჯების რეალობა და გადახდილი ფასის შესაბამისობა მიღებულ სარგებელთან. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ თსუ-ის მიერ არ განხორციელდა შესაბამისი კონტროლი, წარმოიშვა ფულადი სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკი.

⁶⁶ N577/06 ღირებულებით 36.1 ათასი ლარი.

აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა

აუდიტის ჯგუფის მიერ მაღალრისკიანად შეფასებულ ცალკეულ ტენდერში ბაზრის კვლევის სწორად ჩატარების (შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრის) დადგენის მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹ მუხლის საფუძველზე, თსუ-ის საშუალებით კიდევ სხვა (გარდა ზემოთ განხილულ თემასთან დაკავშირებული შემთხვევისა) მიმწოდებლებისგან იქნა მოთხოვნილი მიწოდებული საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებული დოკუმენტები (ხელშეკრულებები, ანგარიშგაქტურები, სასაქონლო ზედნადებები, იმპორტის შემთხვევაში – ინვოისები, საბაჟო დეკლარაციები და ა.შ.). კერძოდ:

- შპს „მედექსპოსგან“ – თსუ-სთან 2015 წლის 16 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების⁶⁷ ფარგლებში მიწოდებული საქონლის (სამედიცინო ტექნიკა რვა კომპონენტის შემადგენლობით) წარმოშობასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- შპს „პიქსისისგან“ – 2014 წლის 21 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების⁶⁸ ფარგლებში მიწოდებული საქონლის (სპექტომეტრი) წარმოშობასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- შპს „სოფთმასტერისგან“ – 2017 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების⁶⁹ ფარგლებში მიწოდებული საქონლის (სპექტომეტრი) წარმოშობასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- შპს „თელასგან“ – 2016 წლის 10 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების⁷⁰ ფარგლებში თსუ-ის მე-3 კორპუსის სარემონტო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2) მითითებული ლამინირებული იატაკის (სულ: 2458 კვ.მ) შეძენასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

მიმწოდებლებმა არ წარმოადგინეს აღნიშნული დოკუმენტები, რის გამოც აუდიტის მასშტაბი შეიზღუდა.

შრომის ანაზღაურების ნაკლოვანებები

მიღებული გრანტებიდან დაფინანსებული დამატებითი შრომის ანაზღაურება

სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან მიღებული გრანტების გარკვეული ნაწილის ბიუჯეტები მოიცავდა ე.წ. „ზედნადებ ხარჯებს“, რომელიც გათვალისწინებული იყო, ერთი მხრივ, პროექტების განხორციელებისთვის საჭირო კომუნალური ხარჯების და მეორე მხრივ, თსუ-ის იმ თანამშრომელთა დამატებითი შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ემსახურებოდნენ საგრანტო პროექტებს. დამატებითი შრომის ანაზღაურების გაცემა წარმოებს 2016 წლიდან (მხოლოდ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის გამოიზნული გრანტებიდან) ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 24 დეკემბრის N194 ბრძანებით გაკეთებული განმარტების შესაბამისად.

საგრანტო პროექტების ბიუჯეტებიდან დამატებითი შრომის ანაზღაურების დაფინანსების დეტალური წესი თსუ-ს შემუშავებული არ ჰქონდა. თსუ-ის ადმინისტრაციის უფროსის მიერ

⁶⁷ N257/06, ღირებულებით 66.7 ათასი ლარი (ტენდერი SPA150010040).

⁶⁸ N564/06, ღირებულებით – 210.3 ათასი ლარი (ტენდერი SPA140014413).

⁶⁹ N805/06, ღირებულებით – 98.0 ათასი ლარი (ტენდერი SPA170012225).

⁷⁰ N103/06, ღირებულებით – 688.8 ათასი ლარი (ტენდერი SPA150029369).

გამოცემული ბრძანებების საფუძველზე ⁷¹ ერთჯერადად განისაზღვრებოდა საგრანტო ხელშეკრულებები (საიდანაც უნდა გაცემულიყო შრომის ანაზღაურება), თანამშრომელთა ვინაობა და ანაზღაურების ოდენობები.

შემოწმებით გაირკვა, რომ მომსახურების მიზნით ანაზღაურებადი გრანტების თანამშრომლებზე გადანაწილება, ასევე საგრანტო პროექტების ბიუჯეტებში დამატებითი შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული თანხების მომსახურე პირებზე განაწილება წარმოებდა არათანაბრად, როგორც რაოდენობრივად, ასევე შინაარსობრივად (ანუ გრანტები, საიდანაც გაიცემოდა დამატებითი შრომის ანაზღაურება). მაგალითად, ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებზე საგრანტო პროექტების ბიუჯეტებიდან გაცემული დამატებითი შრომის ანაზღაურების ოდენობები 2016-2018 წლებში შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი N19. თსუ-ის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებზე საგრანტო პროექტების ბიუჯეტებიდან გაცემული დამატებითი შრომის ანაზღაურების ოდენობები (ათას ლარებში)

თსუ-ის მოსამსახურე	გრანტების რაოდენობა ⁷²	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	სულ
ხელმძღვანელი პირი	საერთო ზედამხედველობა	32.9	17.0	20.8	70.7
თანამშრომელი N1	25	21.2	10.1	9.4	40.7
თანამშრომელი N2	25	17.0	6.2	7.9	31.1
თანამშრომელი N3	10	12.5	5.9	6.7	25.1
თანამშრომელი N4	25	16.8	8.7	12.4	37.9
თანამშრომელი N5	20	2.6	7.4	8.5	18.5
თანამშრომელი N6	20	-	2.7	8.7	11.4
თანამშრომელი N7	8	-	-	0.9	0.9
თანამშრომელი N8	17	2.1	4.4	5.4	11.9

დასკვნა: საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში უნივერსიტეტის თანამშრომლებზე დამატებითი შრომის ანაზღაურების არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობის და პროპორციულობის პრინციპების დაცვას.

დანამატი და პრემია

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ თსუ-ის წინა აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებული იყო „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დანამატების და პრემიების გაცემაში არსებული ხარვეზები. გაცემული იყო რეკომენდაციები თანამდებობრივ სარგოზე დანამატების გაცემის წესის შემუშავებასთან და პრემიების არგუმენტირებული საფუძველით გაცემასთან დაკავშირებით.

დანამატებთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, 2015 წლის 14 მაისს გამოიცა თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანება N17/04, რომლითაც დამტკიცდა თსუ-ის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანამდებობრივ სარგოზე ფუნქციური დანამატის განსაზღვრისა და გაცემის, ასევე ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი.

2014-2017 წლებში საშტატო პერსონალზე გაცემულ დანამატების და პრემიების რაოდენობებს (საკასო ხარჯებს) შემდეგი სახე აქვს:

⁷¹ წლის განმავლობაში გამოიცემოდა რამდენიმე ბრძანება (7-დან 10-მდე), რის მიხედვითაც განისაზღვრებოდა პირთა რაოდენობა და ვინაობა (35-დან 50-მდე), ასევე გრანტების ჩამონათვალი და თითოეული გრანტის ბიუჯეტიდან პირებზე ინდივიდუალურად განაწილებული თანხები.

⁷² მხოლოდ ის გრანტები, საიდანაც გაიცემოდა დამატებითი შრომის ანაზღაურება.

ცხრილი N20. თსუ-ის მიერ 2014-2017 წლებში საბიუჯეტო სახსრებიდან და საკუთარი შემოსავლებიდან საშტატო პერსონალზე გაცემული დანამატების და პრემიების რაოდენობა (ათას ლარებში)

წელი	დანამატი			პრემია		
	საბიუჯეტო	საკუთარი	ჯამი	საბიუჯეტო	საკუთარი	ჯამი
2014	25.3	411.7	437.0	80.1	1,242.6	1,322.7
2015	-	345.3	345.3	218.3	1,857.1	2,075.4
2016	-	115.6	115.6	227.4	2,062.1	2,289.5
2017	0.8	103.5	104.3	296.6	16.4	313.0

ზემოაღნიშნული წესის მიხედვით, დანამატის გაცემა შესაძლებელი იყო არაუმეტეს თვეში ერთხელ, თანამდებობრივი სარგოს არაუმეტეს 100%-ისა. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა წესის დარღვევით დანამატების გაცემის შემთხვევა. კერძოდ, შრომითი ხელშეკრულებით⁷³ თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანს დაენიშნა თანამდებობრივი სარგო თვეში – 1520 ლარის ოდენობით, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით⁷⁴ მას ასევე დაენიშნა ყოველთვიური დანამატი 2385 ლარის ოდენობით (თანამდებობრივ სარგოზე მეტი), რითაც დარღვეულ იქნა ზემოაღნიშნული წესის მოთხოვნა. აღნიშნულ პირზე წესის დარღვევით 2015 წელს გაცემულია სულ 10.4 ათასი ლარი.

2015 წელს გაცემული პრემიების რაოდენობა 2014 წელთან შედარებით 57%-ით არის გაზრდილი. როგორც ცხრილიდან ჩანს, 2017 წლიდან პრემიები მნიშვნელოვნად არის შემცირებული.

რეკომენდაცია

შემუშავებულ იქნეს საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში თსუ-ის თანამშრომლებზე დამატებითი შრომის ანაზღაურების გაცემის წესი, რომელიც დაეფუძნება სამუშაოს და შრომის ანაზღაურების სამართლიან და პროპორციულ განაწილებას, კანონმდებლობით გათვალისწინებული⁷⁵ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვით.

შემოსავლები

საგამომცემლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

თსუ-ის გამომცემლობა (სტამბა) ძირითადად მუშაობს არაკომერციული დანიშნულებით, თსუ-ის სხვადასხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მათ შორის, ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებასთან დაკავშირებით ბროშურების, ბუკლეტების და ა.შ. გამოცემას. გარდა ამისა, ახორციელებს თსუ-ის თანამშრომლების ნაშრომების (წიგნების) გამოცემას ავტორთა დაკვეთით. სათანადო სიმძლავრის არქონის გამო, გარე დაკვეთების მიღება ხორციელდება იშვიათად (ძირითადად, პრობლემატურია ფერადი ბეჭდვა).

საქონლის რეალიზაციით მიღებული თსუ-ის შემოსავლები ძირითადად წარმოადგენს თსუ-ის სტამბაში დაბეჭდილი ზემოაღნიშნული წიგნების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს.

⁷³ 2014 წლის 18 ივნისის N1290/07.

⁷⁴ 2015 წლის 29 იანვრის N43/02-03.

⁷⁵ „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-13 მუხლის 3¹ პუნქტით გათვალისწინებული.

გამოცემული წიგნების რაოდენობის 10% გადაეცემა ავტორს (შემდგომი რეალიზაციით ანაზღაურების მიღების მიზნით). დანარჩენი რეალიზდება თსუ-ის მიერ თვითღირებულებაზე გარკვეული ფასნამატი (ხდება წინასწარი გაანგარიშება). 2014-2017 წლებში წიგნების რეალიზაციით მიღებულ საკასო შემოსავლებს და თსუ-ის გამომცემლობის ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

ცხრილი N21. ინფორმაცია წიგნების რეალიზაციით მიღებული შემოსავლებისა და გამომცემლობის ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გადასახდელების შესახებ (ათას ლარებში)

დასახელება	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
შემოსავლები (საკუთარი)	14.6	32.1	58.1	70.0
გადასახდელები (საკუთარი)	196.3	292.0	317.9	201.8
საბიუჯეტო დაფინანსება	-	-	-	-
სხვაობა:	-181.7	-259.9	-259.8	-131.8

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამომცემლობიდან მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება დაკავშირებულ დანახარჯებს. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზია გამოცემული წიგნების რეალიზაციის დაბალი დონე. კერძოდ, 2014-2017 წლებში გამოცემული წიგნების რაოდენობას, თვითღირებულებას და რეალიზაციიდან მიღებულ საკასო შემოსავლებს⁷⁶ შემდეგი სახე აქვს:

ცხრილი N22. თსუ-ის სტამბაში 2014-2017 წლებში დაბეჭდილი წიგნების რაოდენობა, რეალიზაცია და ნაშთი 2018 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში)

წელი	წიგნ. სახეობ. რაოდენ.	ჯამური ტირაჟი	ჯამური თღ	სარეალიზაც. გამიზნ. რაოდენ.	რეალიზებ. რაოდენ.	შემოსავალ	წიგნების ნაშთი
2014	25	6050	74.9	4113	1544	21.1	2569
2015	37	11900	171.3	8432	4156	63.2	4276
2016	65	19705	223.2	13535	5800	59.8	7735
2017	53	12677	120.9	8002	2115	24.2	5887
ჯამი	180	50332	590.3	34082	13615	168.3	20467

სტრუქტურულად წიგნების თვითღირებულების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ე.წ. ცვლადი დანახარჯები.⁷⁷ შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება გამოცემისას შესწავლილ იქნეს მოთხოვნა და წიგნები დაიბეჭდოს ოპტიმალური რაოდენობით, რაც შეამცირებს თსუ-ის ხარჯებს.

არსებული პრაქტიკის მიხედვით, გამოსაცემი წიგნების ტირაჟის განისაზღვრება მარკეტინგული კვლევების გარეშე, რის შედეგადაც გამოცემული წიგნების რაოდენობა უმეტეს შემთხვევაში მნიშვნელოვნად აღემატება მათზე მოთხოვნებს. მაგალითად, 2015 წელს გამოცემული ზოგიერთი სახეობის წიგნის რეალიზაციის მაჩვენებლებს შემდეგი სახე აქვს:

⁷⁶ ცხრილში მოცემულია 2014-2017 წლებში გამოცემული წიგნების რეალიზაციის მონაცემები 2018 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით (შესაბამისად, განსხვავდება თსუ-ის მიერ წიგნების რეალიზაციით მიღებული 2014-2017 წლების საკასო შემოსავლებისგან).

⁷⁷ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობაზე პირდაპირპროპორციულად დამოკიდებული დანახარჯები (პირდაპირი მასალები, პირდაპირი ხელფასი და ა.შ.).

ცხრილი N23. თსუ-ის სტამბაში 2015 წელს გამოცემული ზოგიერთი სახეობის წიგნის რეალიზაციის მაჩვენებლები (ცალი)

წიგნის დასახელება	ავტორი	ტირაჟი	გასაყიდად გამიზნული	გაყიდული	ნაშთი
ლაზური პარამითეფე	ნ. ქუთელია	500	377	35	342
მაკროეკონომიკის თეორია	ვ. ნიკოლსონი	800	667	140	527
სტატისტიკ. ბიზნ. და ეკონომიკა	ქ. მარშავა	1000	799	47	752
ეპოქები და ტენდენციები	ზ. სხირტლაძე	300	232	4	228

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტირაჟები რამდენიმეჯერ აღემატება გაყიდულ რაოდენობებს. უმრავლეს შემთხვევაში ანალოგიური სიტუაციაა როგორც 2015 წელს გამოცემულ სხვა წიგნებთან დაკავშირებით (37 სახეობა), ასევე 2014, 2015 და 2017 წლებში გამოცემულ წიგნებთან დაკავშირებითაც.

რეკომენდაცია

საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების და მარაგების ოპტიმიზაციის მიზნით, განისაზღვროს ნაბეჭდ პროდუქციაზე რეალური მოთხოვნა და განხორციელდეს მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო რესურსების რაციონალური ხარჯვა.

უძრავი ქონების მართვის ნაკლოვანებები

უძრავი ქონების დათვალიერებით გაირკვა, რომ თსუ-ს ბალანსზე ერიცხება უძრავი ქონების გარკვეული ნაწილი, რომელიც ამ ეტაპზე სრულიად უფუნქციოა (არ გამოიყენება) და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებითი შემოსავლების ფორმირებისთვის. მაგალითად:

- სოფელ ტაბახმელაში (საკურორტო ზონაში) არსებული თსუ-ის სასწავლო-საკონფერენციო ცენტრი, რომელიც მოიცავს ორ ადმინისტრაციულ კორპუსს (საკონფერენციო დარბაზებითა და სამუშაო კაბინეტებით), სასტუმროს (დაახლოებით, 90 კაცზე) და საქვავეს. შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი შეადგენს 5,884.0 კვ.მ. ცენტრი განლაგებულია 26,217.0 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე, მწვანე განაშენიანებით;
- კურორტ კოჯორში არსებული მიწის ნაკვეთი ფართობით – 10,100.0 კვ.მ, რომელზეც განლაგებულია რვა ერთეული ამორტიზებული კოტეჯი;
- ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალაშენებული სტუდენტთა ქალაქის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული დარბაზი (შესაბამისი სათავსოებით) ფართობით – 420.0 კვ.მ, ექსპლუატაციისთვის მზა (თანამედროვე რემონტით) მდგომარეობაში. გარდა ამისა, აღნიშნული სტუდენტთა ქალაქის სამი საცხოვრებელი კორპუსიდან დატვირთულია მხოლოდ ორი კორპუსი, მესამე საჭიროებს ავეჯით და ინვენტარით უზრუნველყოფას;
- თსუ-ს 1-ლი კორპუსის ეზოში არსებული სასადილოს შენობა (ფართობი 240 კვ.მ). აღნიშნულ სასადილოს 2018 წლის ივლისამდე თსუ ამუშავებდა საკუთარი ძალებით. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში აღნიშნული ქონება დაუტვირთავი იყო.

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან მიღებული გრანტები

სამეცნიერო პროექტების კონკურსებში გამარჯვების საფუძველზე, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროგრამული საბიუჯეტო ასიგნებიდან საგრანტო თანხების ჩარიცხვა (გრანტის მიმღები სხვადასხვა ფიზიკური პირების მიერ განკარგვის მიზნით) წარმოებს თსუ-ის სახაზინო ანგარიშზე, რის შემდეგაც საგრანტო თანხების ხარჯვა ხორციელდება თსუ-ის კონტროლით. ფონდთან გაფორმებული სამმხრივი საგრანტო ხელშეკრულებების მიხედვით, თსუ („წამყვანი ორგანიზაცია“) აღნიშნულ ფიზიკურ პირებთან ერთად ითვლება გრანტის მიმღებად.

პროექტების განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებების და მასალების შეძენას საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში ახორციელებდა თსუ. შეძენილი აქტივები გამოყენების მიზნით გადაეცემოდა გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირებს, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში არ წარმოადგენდნენ თსუ-ის თანამშრომლებს. საგრანტო ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის დასრულების შემდეგ, გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში უნდა დარჩენოდათ გრანტის მიმღებ სუბიექტებს (წამყვან ორგანიზაციას ან ფიზიკურ პირებს), მათ შორის, ცალკე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. აღნიშნული სახის ხელშეკრულებებს თსუ გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირებთან არ აფორმებდა და შესაბამისად, ზემოაღნიშნული ქონება პროექტების დასრულების შემდეგაც რჩებოდა თსუ-ის ბალანსზე, თუმცა რიგ შემთხვევებში, მატერიალურ პასუხისმგებელ პირებად ხანგრძლივად რჩებიან გრანტის მიმღები ფიზიკური პირები, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც არ არიან თსუ-ის თანამშრომლები (არათანამშრომლის მატერიალურ პასუხისმგებლად ყოფნა, ბუნებრივია, აქტივზე სუსტი კონტროლის საშუალებას იძლევა).

საგრანტო ხელშეკრულება FR/547/8-305/14

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის კონკურსში გამარჯვებული პროექტის („პარკუჭთა ნაადრევი რეპოლარიზაციის სინდრომი – უწყინარი ეკვ თავისებურება, თუ სიცოცხლისათვის საშიში არითმიების პრედიქტორი“) დაფინანსების მიზნით, ერთი მხრივ, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და, მეორე მხრივ, თსუ-ის (როგორც „წამყვანი ორგანიზაცია“), ასევე გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირებს შორის 2015 წლის 5 მაისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება FR/547/8-305/14. დაფინანსების მოცულობა შეადგენდა 148.6 ათას ლარს. პროექტის განხორციელების ვადა შეადგენდა სამ წელს, ექვსი ექვსთვიანი ეტაპით, რომელიც დასრულდა 2018 წლის მაისში. პროექტის ბიუჯეტი შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი:

ცხრილი N24. საგრანტო ხელშეკრულების (FR/547/8-305/14) ბიუჯეტი (ათას ლარებში)

დასახელება	ბიუჯეტი
შრომის ანაზღაურება (ძირითადი პერსონალი)	82.8
შრომის ანაზღაურება (დამხმარე პერსონალი)	10.5
მივლინების ხარჯები	8.5
სახარჯი მასალების შეძენა	5.3
სამედიცინო ტექნიკის და კომპიუტერის შეძენა	26.6
ზედნადები ხარჯები	14.9
ჯამი:	148.6

საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით, პროექტის ამოცანა იყო ეთნიკურად სხვადასხვა წარმომავლობის 20-45 წლის ასაკის 800 პირის (მათ შორის, სპორტსმენების) შერჩევა მათზე სამედიცინო კვლევების ჩატარების, შედეგების შესწავლის და შემდგომ – მეცნიერული დასკვნების გაკეთების მიზნით.

პროექტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, საწყის ეტაპზე 6000-მდე პირს ჩაუტარდა ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევა და მათგან შერჩეულ იქნა 900-მდე პირი შემდგომი

კვლევებისთვის, რომელიც მოიცავდა 24-საათიან ელექტროკარდიოგრაფიას, გულის დოპლერეოკარდიოგრაფიულ გამოკვლევას, ფიზიკური დატვირთვის ეკგ ტესტს და სისხლში ელექტროლიტების კონცენტრაციის დადგენას.

აღნიშნული კვლევების ჩატარების განსახორციელებლად საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო სამედიცინო ტექნიკის შეძენა, რომელიც მოიცავდა ელექტროკარდიოგრაფს, 24-საათიან ეკგ მონიტორს, ეკგ სისტემას სტრეს-ტესტებისთვის (ტრედმილით), დეფიბრილატორს, ანალიზატორს და კომპიუტერს (ნოუთბუქს). ასევე გათვალისწინებული იყო სხვადასხვა საკანცელარიო და სამედიცინო სახარჯი მასალების შეძენა.

პროექტის ფარგლებში გამოკვლეულად ნაჩვენები პირების რაოდენობის რეალობის (აქედან გამომდინარე პროექტის განხორციელების რეალობის) შესწავლის პროცესში, გრანტის მიმღები პირის სიტყვიერი ახსნა-განმარტების⁷⁸ მიხედვით, მათ (გრანტის მიმღებ პირებს) არ გააჩნიათ გამოკვლეულ პირებთან სამართლებრივი ურთიერთობის რაიმე იურიდიული დოკუმენტი (ხელშეკრულება, წერილობითი განცხადება და ა.შ.). მათ არ გააჩნიათ ასევე გამოკვლეული პირების პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონი) და, რომ აღნიშნული მონაცემები მათ არც პროექტის განხორციელების პერიოდში ჰქონდათ. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი. ასევე აღნიშნა, რომ მათ ამ მონაცემების შეგროვება არ ევალებოდათ და გააჩნიათ მხოლოდ პირების ინიციალები, ასაკი, სიმაღლე.

სამედიცინო ტექნიკის შეძენის დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რომ ეკგ სისტემა სტრეს-ტესტებისთვის (ტრედმილით) შეძენილ (თსუ-სთვის მიწოდებული) იქნა 2018 წლის იანვარში, ხოლო ტენდერი⁷⁹ გამოცხადდა 2017 წლის სექტემბერში მაშინ, როცა საგრანტო ხელშეკრულებით შეძენა გათვალისწინებული იყო გრანტის მე-3 ტრანშის (2016 წლის 1 ივლისს მიღებული) ფარგლებში. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის აღნიშნული ტექნიკა განთავსებული იყო თსუ-ის საწყობში, ხოლო მისი დათვალიერებით გაირკვა, რომ იყო უხმარ მდგომარეობაში, ქარხნული შეფუთვით. გრანტის მიმღებმა პირმა სიტყვიერად დაადასტურა, რომ მას აღნიშნული ტექნიკა არ გამოუყენებია.

ასევე გაირკვა, რომ დეფიბრილატორი საერთოდ არ შეუძენიათ, ხოლო დანარჩენი ტექნიკა და სახარჯი მასალები შეძენილი და მატერიალური პასუხისმგებლობით გადაცემულ იქნა გრანტის მიმღებ ზემოაღნიშნულ პირზე. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის, პროექტი 6 თვის დამთავრებული იყო და გადაცემული ტექნიკა თსუ-სთვის ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული.

დასკვნა: ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობით და ქვემოთ მითითებული ლოგიკის საფუძველზე წარმოიშობა გონივრული ეჭვი, რომ სამედიცინო კვლევები რეალურად არ ჩატარებულა⁸⁰ და საბიუჯეტო სახსრები გახარჯულია არამიზნობრივად. კერძოდ:

- სამედიცინო კვლევების ჩატარების მიზნით დიდი რაოდენობის პირთა მობილიზება, გრაფიკის შედგენა და მათთან დაკავშირება შეუძლებელია განხორციელებულიყო მათი იდენტიფიკაციის გარეშე;

- პროექტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 900-მდე პირს ჩაუტარდა ზემოაღნიშნული სამედიცინო კვლევები. მათ შორის, 24-საათიანი ელექტროკარდიოგრაფია ე.წ. ჰოლტერიტ, რომელსაც სხეულზე დამონტაჟების შემდეგ, პირებს თან ატანენ 24 საათის განმავლობაში. ნაკლებ სავარაუდოა, რომ მვირადღირებული ტექნიკა მატერიალური პასუხისმგებლობით ვინმესთვის გაეტანებინათ იდენტიფიკაციის გარეშე;

⁷⁸ წერილობით ახსნა-განმარტებაზე მან უარი განაცხადა.

⁷⁹ NAT170011060.

⁸⁰ აღნიშნული არ გულისხმობს სამეცნიერო შრომის ხარისხის ექვემდებარებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სამედიცინო კვლევების მონაცემები შესაძლოა კლინიკებში არსებულ ან სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობოდეს და საჭირო არ ყოფილიყო კვლევების სპეციალურად ჩატარება, ასევე ამ მიზნით საბიუჯეტო სახსრებით მვირადღირებული სამედიცინო ტექნიკის შეძენა (რომელიც არ ყოფილა გამოყენებული) და სხვა ხარჯების გაწევა.

- პროექტის შესრულების ანგარიშის მიხედვით პირებს ჩაუტარდათ ასევე ფიზიკური დატვირთვის ეკგ ტესტი. ის გარემოება, რომ აღნიშნული ტესტისთვის საჭირო ტექნიკა – ეკგ სისტემა სტრეს-ტესტებისთვის (ტრედმილით) შეძენილია 2018 წლის იანვარში და იმყოფებოდა უხმარ, ქარხნულად შეფუთულ მდგომარეობაში, ექვევქვემ აყენებს ტესტების ჩატარების რეალობას;
- კვლევებისთვის საჭირო ტექნიკის – დეფიბრილატორის შეძენა არ განხორციელებულა. აღნიშნული გარემოება ასევე ექვევქვემ აყენებს სამედიცინო კვლევების ჩატარების რეალობას.

საწვავის ხარჯი

თსუ-ის ბალანსზე ერიცხებოდა 100-ზე მეტი სატრანსპორტო საშუალება, რომელთა უმრავლესობა არამუშა მდგომარეობაში იმყოფებოდა. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებით ავტომანქანების მუშა ნაწილზე მტკიცდებოდა საწვავის ყოველთვიური ლიმიტები, რომლებიც წლის განმავლობაში განიცდიდა უმნიშვნელო ცვლილებებს. გარდა ამისა, მივლინებების შემთხვევებში გაიცემოდა დამატებითი საწვავი. თსუ-ის ავტოპარკისთვის განკუთვნილი საწვავის საშუალო ლიმიტები და ფაქტობრივად გაწეული ხარჯები 2014-2017 წლებში შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი N25. 2014-2017 წლებში თსუ-ის ავტომანქანებზე საწვავის დამტკიცებული ლიმიტები და ფაქტობრივად გახარჯული რაოდენობები⁸¹ (ლიტრებში)

წელი	ბრძან. ლიმიტ.	ავტომ რაოდ	თვის საშუალო ლიმიტი ერთეულზე	ჯამური წლიური ლიმიტი (*12 თვე) ყველა ავტომანქან.	წლიური ფაქტ. ხარჯი ლიმიტით	ხარჯი მივლინ.	სულ ხარჯი
2014	01/02-01	30	349	125640	96013	15037	111050
2015	15/02-01	30	334	120240	98278	20335	118613
2016	115/02-01	31	353	131316	108406	13364	121770
2014 -2016	საშუალო		345	125732	100899	16245	117144
2017	48/02-01	38	180	82080	76279	21917	98196

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2017 წლიდან⁸² საწვავის საშუალო ლიმიტი ერთ ავტომანქანაზე წინა სამი წლის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 48%-ით (345 ლიტრიდან 180 ლიტრამდე). მუშა მდგომარეობაში არსებული ავტომანქანების გარკვეული ზრდის მიუხედავად, ლიმიტის ფარგლებში საწვავის ფაქტობრივი ხარჯი 2017 წელს წინა სამი წლის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 24620 ლიტრით (24%-ით), ხოლო მთლიანი წლიური ხარჯი შემცირებულია საშუალოდ 18948 ლიტრით (16%-ით).

თსუ-ის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა⁸³ ფუნქციურად როგორც სამორიგეო დანიშნულების, ემსახურებოდა თსუ-ის რექტორს და სტუმრებს. აღნიშნულ ავტომანქანაზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტი 2014-2016 წლებში შეადგენდა 700 ლიტრს. 2017 წლიდან ლიმიტი შემცირებულია და შეადგენს 400 ლიტრს.

დასკვნა: იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თსუ-ის ავტომანქანების ფუნქცია და დანიშნულება არ შეცვლილა, 2017 წლამდე საწვავის ხარჯვა წარმოებდა არაეკონომიურად. შემცირებული წლიური ხარჯის (ლიტრებში) და საწვავში გადახდილი საშუალო ფასების გათვალისწინებით

⁸¹ ცხრილში მოცემულია ბენზინის და დიზელის საწვავის გაერთიანებული მონაცემები.

⁸² თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირების ცვლილების შემდეგ.

⁸³ KIA SORENTO (სახელმწიფო ნომრით TS-001-UN).

არაეკონომიურად გახარჯული საწვავის ღირებულებამ 2014-2016 წლებში შეადგინა ჯამურად, დაახლოებით, 94.9 ათასი ლარი:

ცხრილი N 26. არაეკონომიურად გახარჯული საწვავის ღირებულება 2014-2016 წლებში (ლარებში)

წელი	არაეკონომიური ხარჯი (ლიტრი)	ლიტრის საშუალო ფასი	სულ ღირებულება
2014	18948	1.91	36190
2015	18948	1.67	31643
2016	18948	1.43	27095
ჯამი:			94928

აღნიშნული ხარჯები 2017 წლიდან გამოსწორებულია.

სტუდენტთა მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება

2014-2017 წლებში სტუდენტური პროექტების დაფინანსებაზე გაწეულ იქნა შემდეგი ოდენობის ხარჯები (როგორც ფულადი, ასევე საწყობში არსებული მარაგების სახით):

ცხრილი N27. თსუ-ის მიერ 2014-2017 წლებში სტუდენტური პროექტების დაფინანსებაზე გაწეული ხარჯები (როგორც ფულადი, ასევე საწყობში არსებული მარაგების სახით) (ათას ლარებში)

წელი	დაფინანსება
2014	165.4
2015	306.3
2016	110.9
2017	617.9
ჯამი:	1,200.5

პროექტების შერჩევითი შემოწმებით დადგინდა შემდეგი:

– სტუდენტთა ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტი ⁸⁴ (online campus+) ითვალისწინებდა საუნივერსიტეტო გარემოში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით მობილური აპლიკაციის შექმნას, რაც გაამარტივებდა წვდომას სიახლეებთან, რასაც სასწავლებელი სთავაზობდა სტუდენტებს, თანამშრომლებსა და კურსდამთავრებულებს. განსაზღვრული იყო მობილური აპლიკაციის აქტიური გამოყენება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. პროექტის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 47.2 ათასი ლარით. ფაქტობრივად გაწეულ იქნა 40.9 ათასი ლარის ხარჯი. პროექტი დასრულებულად ჩაითვა 2017 წლის დეკემბერში, თუმცა 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით პროექტი დასრულებული არ იყო და აპლიკაცია არ მუშაობდა. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აპლიკაციასთან დაკავშირებით გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები და აღმოჩნდა შემდეგ დაიწყება მისი ექსპლუატაცია, თუმცა აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებები.

აუდიტორთა ხელმოწერა:

სახელი, გვარი

გია ნადარეიშვილი

მთავარი აუდიტორი

ხელმოწერა



⁸⁴ დაფინანსდა სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს 2017 წლის 25 მაისის სხდომის ოქმის (N7) საფუძველზე.

გურამ დუმბაძე

მთავარი აუდიტორი



გიორგი როსტიაშვილი

აუდიტორი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38